პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4.
რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

მთავარი კანტორა: ტბილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე 2 სართული).
ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადებ— 10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 800 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—48.

ფასი 10,000 მან.
პროვინციაში 12,000 მან.

№ 175 ოთხშაბათი, 2 აგვისტო 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ოთხშაბათი, 2 აგვისტო 1922 წ. № 175

ხუთშაბათს, 3 აგვისტოს საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომის დარბაზში
გაიმართება

საინსტრუქციო მოხსენება

მიმაგრებული ამხანაგებისათვის.
დღის წეს-რიგი.

ამიერ-კავკასიის ერთიანი ფულის ნიშანი სასურსათო გადასახადის აკრეფა საქართველოში

თბილისის კომიტეტის მდივანი **კახიანი.**

ბიუჯეტისათვის

გაზეთებში ცნობა იყო გამოქვეყნებული, რომ ამას წინედ საუწყებთაშორისო საბიუჯეტო თათბირმა განიხილა შრომის კომისარიატის ხარჯთაღრიცხვა; ახლო მომავალში ესევე თათბირი განიხილავს სასურსათო და განათლების კომისარიატების ხარჯთაღრიცხვას. რესპუბლიკის ბიუჯეტი საბოლოოდ მზად იქნება აგვისტოს დასასრულისათვის.

დღემდე ვერ მოხერხდა ბიუჯეტის შედგენა რესპუბლიკის მასშტაბით. ამ გარემოებას საპატიო და გასამართლებელი მიზეზები აქვს.

გადატრიალების პირველ თვეებში, რა თქმა უნდა, მთელი ჩვენი ყურადღება და ენერგია მიპყრობილი იყო პროლეტარულ რევოლიუციის მონაპოვართა დაცვისაკენ; სახელმწიფოს მთელი საშუალება და შესაძლებლობა რევოლიუციის გამარჯვების ინტერესებისთვის უნდა ყოფილიყო გამოყენებული. და აქ, რასაკვირველია, არ შეიძლებოდა ლაპარაკი სახელმწიფოს შემოსავალ გასავალის ცოტად თუ ბევრად სწორად გამოანგარიშებასა და მათ შორის ერთგვარ წონასწორობის დამყარებაზე.

ამასთან ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ საბჭოთა გადატრიალების პირველ პერიოდში ჩვენ გვიხდებოდა მუშაობა ჯერ ისევ ძველი ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში, როცა სახელმწიფოს საფინანსო საბიუჯეტო პოლიტიკა სულ სხვანაირი იყო. ახალი ეკონომიური პოლიტიკა მაშინ მხოლოდ ისახებოდა, მისი ზოგადი კონტურები ჩანდა, მხოლოდ შემდეგ თვეებში და თანდათანობით მიიღო მან ასე თუ ისე ჩამოყალიბებული და დამთავრებული სახე.

გადატრიალებით გამოწვეულ არევდარეულ ცხოვრების ერთგვარ კალაპოტში ჩაყენების, სახელმწიფოებრივი აპარატის მოწყობას და ახალ ეკონომიურ პოლიტიკის საფუძვლების გამორკვევის შემდეგ იყო შესაძლებელი შევსდგომოდით მუშაობას რესპუბლიკის ბიუჯეტის შესადგენად.

სახელმწიფოს აქვს ბევრი და მუდმივი ხარჯები, რომლის დასაფარავად მან უნდა შექმნას შემოსავლის ასეთივე წყაროები. ცხადია, ისეთი სახელმწიფო, რომელიც მეტს ხარჯავს, ვინემ შემოსავალი მოეპოვება, ხანგრძლივად ვერ იარსებებს. სახელმწიფო, რომელიც ცხოვრობს უმთავრესად მბეჭდავი მანქანის, ემისიის საშუალებით, ადრე თუ გვიან გაკოტრებას ვერ აიცდენს თავიდან.

ჩვენი საბჭოთა ხელისუფლება კარგა ხანია იღებს ზომებს ამ მოვლენის წინააღმდეგ.

მან შეზღუდა ემისია შესაძლებელ მინიმუმამდე. ამასთან შეამოკლა შტატები და მოახდინა სახელმწიფო აპარატის რეორგანიზაცია და გამარტივება. ამ მხრივ მუშაობა ეხლაც გრძელდება.

სახელმწიფო ცდილობს უკიდურესობამდე შეამციროს გასავალი და გაატაროს ყველგან სასტიკი მომჭირნეობის, ეკონომიის პრინციპი.

ასეთი ღონისძიებანი, რა თქმა უნდა, აჯანსაღებენ ჩვენ ფინანსიურ მდგომარეობას, მაგრამ თავის თავად სრულიად ვერ სწყვეტენ ბიუჯეტის საკითხს.

ჩვენ სისწორით უნდა გვქონდეს გამორკვეული სახელმწიფო ხარჯების საერთო ჯამი ერთი მხრივ, სახელმწიფო საშუალებათა რაოდენობა—მეორე მხრივ.

უნდა ითქვას რომ ცალკე სახალხო კომისარიატების მუშაობა ხარჯთაღრიცხვის შესადგენად ვერ მიმდინარეობდა მაინც და მაინც საჭირო ტემპით და საფუძვლიანობით. მათ თავის დროზე ვერ შესძლეს ხარჯთაღრიცხვების წარდგენა, და ამით აიხსნება ზოგად-რესპუბლიკანური ბიუჯეტის შესადგენი მუშაობის გაჭიანურება. ამასთან წარმოდგენილი ხარჯთ აღრიცხვები საკმაოდ დაშორებულია სინამდვილეს, იქ სათანადოდ არ არის გათვალისწინებული რესპუბლიკის რესურსები, მისი საერთო ეკონომიურ-ფინანსიური მდგომარეობა, და ამიტომ ისინი მოითხოვენ დაკვირვებით გადასინჯვას. და ამის ერთი მთავარი მიზეზთაგანია ადგილობრივ ბიუჯეტის საკითხის გამოურკვევლობა.

ადგილობრივი ბიუჯეტის საკითხის მოგვარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ადგილობრივად ფრიად საგრძნობია ფულის კრიზისი, რის გამო პროვინციალურ საბჭოთა ორგანოებს სათანადოდ ვერ გაუშლიათ თავიანთი საქმიანობა. და ეს ხდება იმიტომ, რომ ბიუჯეტის საქმე მოუგვარებელია.

მთავრობის წინანდელი დადგენილებით, ადგილობრივ სალარეში შედის გადასახადი ქონებაზე, სარეწავი, სატრაქტირო, საფუთო, აგრეთვე 20 პროცენტი ზოგად სახელმწიფოებრივ გადასახადიდან.

მაგრამ საჭიროა მკაფიოდ იქნას განსაზღვრული ადგილობრივი გადასახადების მაქსიმალური განაკვეთი, რაც საჭიროა გადამხდელ ცენტრალურ და ადგილობრივ აპარატებს შორის გაუგებრობის ასაცილებლად და თვით გადამხდელების ინტერესების გასათვალისწინებლად.

ამასთან უნდა იქნას სისწორით განსაზღვრული, თუ რა გადადის ზოგად სახელმწიფოებრივ ბიუჯეტის ხარჯებიდან ადგილობრივ ბიუჯეტში და სახელდობრ რა საფუძველზე და რა სახით.

საკითხი ეხება ადგილობრივ და სახელმწიფო ბიუჯეტის ურთიერთ დამოკიდებულებას და მთელი ჩვენი საგადასახადო სისტემას.

დეტალურად გამორკვევა ადგილობრივი ბიუჯეტის და ამის მიხედვით ზოგად სახელმწიფოებრივ ბიუჯეტის შედგენა—ფრიად საშური სამუშაოა, რომელიც უნდა დამთავრდეს უახლოეს დროში.

და ამ ბიუჯეტის შედგენის დროს ჩვენ ყოველთვის უნდა გვქონდეს მხედველობაში მიღებული რესპუბლიკის დღევანდელი მძიმე მდგომარეობა, არ უნდა გაგვიტაცოს გადაჭარბებულმა გეგმებმა და მაქსიმალურად შევზღუდოთ ჩვენი მოთხოვნილებანი. მხოლოდ ამ გზით შევსძლებთ მივაღწიოთ შემოსავალ-გასავალ შორის ერთგვარ წონასწორობის დამყარებას და სახელმწიფოს ფინანსების გაჯანსაღებას და განმტკიცებას.

ირლანდიის რევოლიუციონერების დაცვა იმპერიალისტურ ჯალათებისაგან.

(ღია წერილი ინგლისის მუშათა პარტიის მეთაურებს რემსეი მაკდონალდს, ტომ შოუს და არტურ გენდერსონს).

ჩვენ წავიკითხეთ გაზეთებში ანგარიში ირლანდიის რევოლიუციონერების, სელივანას და დენნის პროცესის შესახებ, რომელთაც ასამართლებდნენ მარშალ ვილსონის მოკვლის გამო, რომელიც იყო ირლანდიის ხალხის ჯალათი. ჩვენ დიდის გაოცებით წავიკითხეთ, რომ თქვენი დემოკრატიული სახელმწიფოს სასამართლოს თავმჯდომარემ, არ დართო ბრალდებულებს ნება განემარტათ სასამართლოს წინაშე ის მიზეზები, რომელთაც აიძულეს მათ, რომ მოეკლათ ვილსონი. ეს უარყოფა მოსამართლემ დაასაბუთა იმით, რომ მას არ შეუძლია დაუშვას სასამართლოს დარბაზის ანარქიული პროპაგანდის მიზნებისათვის ან პოლიტიკური მანიფესტაციებისათვის გამოყენება. ჩვენ მოგაგონებთ თქვენ, როგორ მოითხოვდით ჩვენი მხრიდან გარანტიებს ესერების პარტიის მეთაურების დაცვის თავისუფლებისათვის, რომელსაც ასამართლებს ჩვენი ქვეყნის რევოლიუციონური ტრიბუნალი. პროლეტარიატის წინამძღოლის ვოლოდარსკის მოკვლისათვის, ლენინზე თავდასხმისათვის და უცხოელ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფულების წყალობით რუსეთის მუშურ-გლეხური მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებათა და შეთქმულობათა მოწყობისათვის.

ჩვენ გაგიცხადეთ თქვენ, რომ მათ ექნებათ სრული თავისუფლება დაცვისა. და მიუხედავად იმისა, რომ თქვენ და მე 2 ინტერნაციონალის თქვენმა მეგობრებმა ჩაშალეს ბერლინის შეთანხმება; მიუხედავათ იმისა რომ თქვენ ჩაშალეთ რა ეს შეთანხმება, პროლეტარიატის ერთიანი ფრონტის შექმნის სამზადისის შესახებ,—გამორიცხეთ ინგლისის მუშათა პარტიის რიგებიდან ჩვენი ამხანაგები, ინგლისელი კომუნისტი მუშები, ესერების ბრალდებული ტერორისტები და მეამბოხენი უკვე მე 30 დღეა, რაც სარგებლობენ დაცვის სრული თავისუფლებით და შეძლება აქვთ ვრცელ სიტყვებში განმარტონ თავიანთი მოქმედებათა მოტივები. ჩვენ ბოდიშს ვიხდით პატიოსან,—თუმცა არა სოციალისტურ—ირლანდიელ რევოლიუციონერების წინაშე, რომელნიც იბრძვიან ინგლისურ იმპერიალიზმის ჩაგვრის წინააღმდეგ, იმ პირებთან შედარებისათვის, რომელნიც იარაღს იღებენ ხელში იმ პართა წინააღმდეგ, ვინც იბრძვის იმპერიალიზმის დასამხობათ, ერების დაჩაგვრის წინააღმდეგ და რომელნიც ამას სჩადიოდნენ იმ კაპიტალისტური ქვეყნების დასტურით, ვისაც უნდოდა რუსეთის მონობაში ჩაგდება. ჩვენ ვიცით, რომ ინგლისის მუშათა პარტიის მეთაურები, რომელნიც მოითხოვენ საქართველოს, უკრაინის და რუსეთის სხვა განაპირა კუთხეების განთავისუფლებას, მიუხედავათ იმისა, რომ ყველა ამ ქვეყნებში უკვე არსებობს მუშურ გლეხური მთავრობა, რომელნიც ხალხის წიაღიდან არიან გამოსული,—რომ თქვენ შეიქნებით იმდენათ უსირცხვილონი თქვენი პარტიის ყრილობაზე, რომ დაგმოთ ტერორისტული აქტი ირლანდიის რევოლიუციონერებისა, რომელნიც იბრძოდნენ თავისი ქვეყნის განთავისუფლებლად, რისთვისაც საკუთარი თავი მსხვერპლადაც კი მოჰქონდათ. ჩვენ, რომელიც არა ვართ დამცველნი ერთპიროვნული ტერორისტული აქტისა, მიგვაჩნია სირცხვილად ასეთი აქტების დაგმობა, თუ კი იგი მიმართულია ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენ ვამბობთ: ამ ჟამად საქმე არ ეხება ჩვენსა ან თქვენ შეფასებას ირლანდიის რევოლიუციონერების მოქმედებებისას, არამედ მათი უბრალო ადამიანური უფლებების დაცვას, დაცვას ამ უფლებებისას სასამართლოს წინაშე. ჩვენ არ ვიცით განაცხადეთ თუ არა თქვენ პროტესტი ამ ბრალდებულთა იძულებით დადუმების წინააღმდეგ, რომელნიც სიკვდილს თვალებში მისჩერებიან რა ქნა პირადით არტურ მენდერსონმა, მეფის საიდუმლო მრჩეველმა, თავისი გავლენით მეფის საბჭოზე, რომ მიეღწია ირლანდიელებისათვის დაცვის თავისუფლების მოპოვება. თუმცა ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია ის, რომ მუშათა პარტიის მეთაური იყვეს მეფის საიდუმლო მრჩეველად, ვინაიდან მისი დანიშნულებაა იყოს აშკარა მტერი მისი უდიდებულესობისა,—მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ რადგანაც თქვენი პარტია დასთანხმდა ასეთ სამარცხვინო როლის თამაშზე, მაშინ თქვენ უნდა მოგეხმარათ მთელი თქვენი ინტიმური გავლენა იმპერიალისტურ მთავრობაზე, მართლსაჯულების სულ პრიმიტიული კანონების დასაცავად მაინც.

ჩვენ სულ ეხლახან წავიკითხეთ დეპეშა იმის შესახებ, რომ ორივე ამ ირლანდიელ რევოლიუციონერს მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა და, რაც უფრო საშინელია, ჩამოხრჩობით. ჩვენ ერთ წუთსაც ვერ დავუშვებთ იმ აზრს, რომ ინგლისის მუშათა პარტია, რომელსაც მისდევს მილიონი მუშები, პარტია, რომლის ნების ყოფის წინააღმდეგაც არ შეუძლია არსებობა ინგლისის მთავრობას, რომ ამ პარტიამ დაუშვას სიკვდილით დასჯა ირლანდიელ რევოლიუციონერებისა. ჩვენ მოველით, რომ თქვენ დაამშვიდებთ ჩვენ აღელვებას და რომ ჩვენ სულ ახლო ხანში მივიღებთ თქვენგან დეპეშას შესახებ იმისა, რომ თქვენ მოუწოდეთ ინგლისის მუშებს საერთო გაფიცვისაკენ, რათა არ გახდეს შესაძლებელი ინგლისის იმპერიალიზმის ჯალათების დაუნდობელი ბოროტება, კეთილშობილ ირლანდიის ხალხის, თავისი ერის თავისუფლებისათვის მებრძოლ შვილების წინააღმდეგ. ინგლისის მუშათა კლასის მომავლისათვის ჩვენ მივაქცევთ თქვენ ყურადღებას იმაზე, რომ, იმ დროს როდესაც ინგლისელი მუშები დაიწყებენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ინგლისის კაპიტალის წინააღმდეგ სოციალიზმის განსახორციელებლად, მათი გამარჯვება დამოკიდებული იქნება იმ დახმარებაზე, რომელსაც მათ აღმოუჩენენ ინგლისის იმპერიალიზმის მიერ დამონავებული ხალხები და კოლონიები, რომელნიც დღეს მას აწვდიან პურს. თუ თქვენ არა გაქვთ საკმარისი სოლიდარობის გრძნობა ირლანდიელ რევოლიუციონერების მიმართ, მაშინ თქვენ უნდა შეიგნოთ მთელი პრაქტიკული აუცილებლობა ინგლისის მუშათა კლასის მიერ იმის მიღწევისა, რომ ირლანდიის, ეგვიპტეს და ინდოეთის გლეხმა გაიგოს, ის თუ ინგლისის მუშა მისი მეგობარია და არა მტერი. თუ თქვენ გაჩუმდებით, მაშინ თქვენი ხელებიც იქნება გასვრილი ირლანდიელ რევოლიუციონერების სისხლში.

ჩვენ მოგმართავთ თქვენ, მიუხედავათ იმისა, რომ ვიცით, თქვენ რომ რევოლიუციონერები არა ხართ; ვინაიდან თქვენც მოგვმართავდით ჩვენ, როგორც დელეგატებს სამივე ინტერნაციონალის ბერლინის კონფერენციაზე, თხოვნით გვეპატიება სასჯელი ესერების ტერორისტებისათვის. ჩვენ უგზავნით ამ ჩვენ მიმართვას 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალების ყველა პარტიებს და მოვითხოვთ მათგან თქვენი საშუალებით, მაქსიმალური გავლენა მოახდინონ ინგლისის მთავრობაზე — მოახერხეთ ირლანდიის რევოლიუციონერებისათვის სამართლიანი სასამართლოს მოწყობა და შეძლოთ, რომ მე-3 ინტერნაციონალის წარმომადგენლების, რომელიც არის ყველა ჩაგრულთა და დამონებულთა დამცველი, ქონდეთ უფლება ამ სასამართლოზე, რამოდენიმე მილიონი მუშათა და გლეხთა სახელით, აღიმაღლონ ხმა ირლანდიელ რევოლიუციონერების დასაცავად. ჩვენ გარანტიას გაძლევთ იმისას, რომ ჩვენი დამცველები არ დასტოვებენ სასამართლოს, პროცესის დასრულებამდე, როგორი დემონსტრაციებიც არ უნდა გამართონ მათ წინააღმდეგ იმპერიალიზმის მომხრეებმა.

ნ. ბუხარინი, კ. რადეკი.

(კომინტერნის აღმასკომის დელეგატები სამივე ინტერნაციონალების ბერლინის კონფერენციაზე).

მოსკოვი. 21 ივლისი 1922 წ.

ესერების პროცესი

მოსკოვი. 30 ივლისი (რადიო). დასაწყისი არ არის მიღებული)... „ისტორიის მომავალ სამსჯავროს საქმეა, ამბობს კრილენკო, გამოკვლეულ და შესწავლილ იქნეს სხვადასხვა პიროვნებათა როლი ისტორიულ მოვლენათა განვითარების საერთო მსვლელობაში. სასამართლოს საქმეა შეფასებულ იქნას ის, თუ რა გააკეთეს ამა თუ იმ პირებმა კონკრეტულად და გამორკვეულ იქნეს მათი მოღვაწეობის ავ-კარგიანობის ხარისხი. რესპუბლიკის კანონები მოითხოვენ, რათა ტრიბუნალმა დაწვრილებით შეაფასოს ამ ადამიანების მოღვაწეობა. სისხლის სამართლის კოდექსის მე 5 მუხლი ამბობს, რომ პროლეტარული სასამართლო მიზნად ისახავს მშრომელთა სახელმწიფოს დაცვას საზოგადოებრივ—მავნე ელემენტებისაგან. ყველა იმათ ვინც აქ ღაღადებენ, რომ აქ ხდება პოლიტიკურ შურისძიების აქტი უნდა მიმართონ სისხლის სამართლის კოდექსის მე 8-ე მუხლს, რომელიც ამბობს, რომ სასჯელი და სოციალურ დაცვის სხვა ზომები უნდა იქნეს ხმარებული კანონების ახალი დარღვევის აცილების მიზნით, მათ წინააღმდეგ ვინც ეს კანონები დაარღვია და აგრეთვე იმ მიზნით, რომ ბოროტ-მოქმედებას არ მიეცეს საშუალება ხელ ახლა ჩაიდინოს ბოროტ მოქმედება. ჩვენ გვინდა დავიცვათ მუშათა და გლეხთა რესპუბლიკა ახალ უბედურებათა საშიშროებისაგან და ამ ადამიანების მოღვაწეობისაგან. ჩვენ გვსურს მოვსპოთ მომავალ ბოროტ მოქმედებათ საშუალებანი, ცალ-ცალკე ბრალდებულებმა ტიმოფეევმა და სხვებმა, იმ დეკლარაციაში, რომელიც წარმოდგენილ იქნა პირველ ჯგუფის ბრალდებულთა სახელით, განაცხადეს, რომ ისინი უარს ამბობენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების მოწყობის უფლებაზე. რევოლიუციონურ იუსტიციის თვალსაზრისით ტრიბუნალს უკვე მაშინ შეეძლო გამოეცხადებინა სასამართლოს ძიება დამთავრებულად და პირდაპირ დაესვა საკითხი სოციალურ დაცვის ზომების ხმარების შესახებ. რამდენადაც პროცესს აქვს უდიდესი მნიშვნელობა პროლეტარიატის წინაშე, რამდენადაც მას შეეძლო გამოემჟღავნებინა ბრალდებულთა მოღვაწეობა, სასამართლოს ძიება გრძელდებოდა".

ამ შესავლის შემდეგ, კრილენკო იხილავს ესერების პარტიის მოღვაწეობის ცალ-ცალკე პერიოდებს ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ.

კრილენკო იწყებს (დამახინჯებულია). . აშუქებს მოღვაწეობას (დამახინჯებულია)... იმისა, რომელსაც აწარმოებდენ ესერები პროლეტარიატის წინააღმდეგ, ის ესერები, რომელნიც მოჰყვენ ბურჟუაზიის ბატალიონის პირველ რიგებში.

შემდეგ კრილენკო ეხება „უჩრედილკის" გარეკის დღეს. „ესერების პარტიას, ამბობს კრილენკო, მოესურვა ეწოდებია გარეკის დემონსტრაციისათვის — მშვიდობიანი დემონსტრაცია. აშუქებს რა მოვლენებს მოწმეთა ჩვენების დაგვარად, კრილენკო ააშკარავებს დემონსტრაციის ნამდვილ სახეს და უწოდებს ესერების პოლიტიკას ფარისევლურ პოლიტიკას, რომელნიც 5 იანვარს, მოუწოდებდენ რა მასებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებისაკენ (გამოტოვებულია)...

— ახასიათებს რა თვითეულ ფაქტს ცალ-ცალკე, როგორც ნალმოსან დივიზიის განიარაღებას, პრეობრაჟენსკის და სემიონოვის პოლკების განიარაღებას, კრილენკო ამბობს, რომ თვითეულ ამ აქტში ნათლად გამოსჩანს ორპირობა და სიმუხთლე. ორპირობის ასეთივე პოლიტიკა გამოჩნდა გოცის და ავქსენტიევის მხრივ.

კრილენკო გადადის ესერების პარტიის ურთიერთობაზე მოკავშირეებთან და ეხება იმ ადგილებს, რომელსაც პარტია მათგან იღებდა. ლიხაჩი არ უარყოფდა მოკავშირებისაგან ფულით დახმარების მიღებას, რომელიც ხმარდებოდა კავშირთა მუშაობას და „უჩრედილკის" დაცვას, და არა პარტიულ მუშაობას. აქაც იგივე ფარისევლობაა, იგივე ცდა დაფარონ ერთი და იგივე საქმე თავის ლოზუნგებით. მთელ რიგ მოწმეების ჩვენებათა და თანდართულ დოკუმენტების თანახმად, კრილენკო ამტკიცებს ესერების უშუალო სამხედრო კავშირს „აღორძინების კავშირთან" და ბურჟუაზიულ ელემენტებთან და მოკავშირებისაგან ფულების მიღებას „აღორძინების კავშირის" საშუალებით.

ამის შემდეგ კრილენკო გადადის მოსკოვის პერიოდზე და აღნიშნავს იმას, თუ როგორ მუშაობას ეწეოდა ესერების პარტია აჯანყებულ ხალხის წინააღმდეგ კრილენკო ამბობს, რომ უფრო უკეთესად აღარ შეიძლება დავახასიათოთ ესერების პარტია, ვიდრე დაახასიათა იგი ევგენია რატნერმა. მან სთქვა, რომ იუნკრები და პრაპორშჩიკები მეგობრულ დამოკიდებულებაში იყვენ ესერების პარტიასთან და მასთან ერთად აქრობდენ ყოველგვარ მორიგ გამოსვლებს, ე. ი. მიდიოდენ მოსკოვის მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის წინააღმდეგ. ამ დროს ჩამოდის მოსკოვში ტიმოფეევი. სასამართლოს გამოძიებაში გამოაშკარავდა ის სურათი, რომ იგი პოლკოვნიკ ნახიმთან ერთად, როგორ არჩევდა საიდუმლო სამხედრო დოკუმენტებს, რომელიც მათ გაიტაცეს წითელი არმიის შტაბის სამობილიზაციო განყოფილებიდან. აქვე სწყვეტდენ ისინი საკითხს წითელ არმიაში აშკარა მოღალატეების და გამცემლების დანიშვნისა და შეყვანის შესახებ, როგორიც იყო მაგ. პოლკოვნიკი მახინი. „დიე, რუსეთის მუშებმა და გლეხებმა იცოდენ, აცხადებს კრილენკო, თუ რას აკეთებდით თქვენ საიდუმლო კრებებზე და ისინი წარმოგიდგენენ თქვენ ანგარიშს იმ ტანჯვა-წამებას და სისხლის შესახებ, რომელიც მათ დაანთხიეს თქვენი მოღალატური რჩევის გამო, ჩვენ არ დავიწყებთ თქვენთან ხუმრობას: აქ სდგას საკითხი იმ სახელმწიფოსათვის ბრძოლის შესახებ, რომელიც ჩვენ დავიპყარით და რისთვისათვის დიდძალი ძალა და ენერგია დავხარჯეთ.

პარტიის მე-8 ყრილობამ აღიარა რომ რუსეთის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ მოკავშირეთა ტეხნიკური და მატერიალური დახმარებით. პირველი მოლაპარაკება მოკავშირეებთან დაიწყო 1918 წელს თებერვალში. ამ მოლაპარაკებას აწარმოებდა ტიმოფეევი. შარტიერ-დიუბამ მიაქცია ყურადღება მე-8 ყრილობის დადგენილებას სუვერენული ხელისუფლების შესახებ. ამ დადგენილებაში ნათქვამია: „პირველ ყოვლისა ხელისუფლება, ხოლო შემდეგ კი მოკავშირეთა დახმარება". მაგრამ ესერებმა აქვე ავტორიტეტულად განმარტეს, რომ ეს დადგენილება არ უნდა გავიგოთ პირდაპირ სიტყვა-სიტყვით. რასაკვირველია, მისაღებია პირველ ყოვლისა მოკავშირეთა დახმარება ბოლშევიკების დასამხობად, ხოლო შემდეგ სუვერენული ხელისუფლების აღდგენა იმავ მოკავშირეთა დახმარებით. სასამართლოს მთელმა გამოძიებამ, ესერების წინააღმდეგობის გარეშე დაამტკიცა, რომ ესერებს სურდათ დაელოდონ მოკავშირეთა დესანტს. განგაშის ატეხა ნაციონალური სირცხვილის, აღმოსავლეთის ფრონტის აღდგენის და გერმანიასთან ომის გაგრძელების შესახებ,—ეს მხოლოდ ფრაზებია. საქმის სულ მარტივი ხასიათი ქონდა. რუსეთის მოქალაქეთა ერთი ჯგუფი კონტრრევოლიუციონური მიზნებით შეუთანხმდა უცხოელ სახელმწიფოებს. ამას კი მოჰყვა ის ამბები, რომელიც დაუჯდა რუსეთის მუშებსა და გლეხებს ზღვა სისხლად და აუტანელ ტანჯვა-წამებად.

სამარის ფრონტის შექმნის შემდეგ ტიმოფეევი იწყებს მოლაპარაკებას საფრანგეთის მისიის თანამშრომელთან, ხოლო შემდეგ კი იწყებს მასთან ოფიციალურ დამოკიდებულებას. ის იღებს მისგან რწმუნების ნოტას და ჰკრავს მასთან ცნობილ სამხედრო კონვენციას, რომლის შესახებაც თვითის დარცხვენით და მოკიბულ მიკიბულად ლაპარაკობდა. კონვენციის აზრი შემდეგია: მოკავშირეები იძლევიან ოფიცრებს, ტეხნიკურ ხელმძღვანელებს, ასაფეთქებელ მასალას და ფულებს. ესერები კი აფეთქებენ მატარებლებს და ხიდებს. ერთი სიტყვით ეს სამხედრო კონვენცია შეიძლება დავახასიათოთ შემდეგ ნაირად: უცხოეთის მთავრობები ცდილობენ გამონახონ ზომები იმ ბინძური საქმეების გასაკეთებლად, რომელშიც თვით მათ არ სურთ გაისვარონ ხელები.

როდესაც ესერებმა სამარაში ხელისუფლება ჩაიგდეს ხელში, მათ გაუგზავნეს მოკავშირეებს დეკლარაცია, რომელშიც თხოვდენ მათ ყუმბარებს, იარაღს და ფულს.

შემდეგ კრილენკო დეტალურად ახასიათებს ესერების ხელისუფლებას სამარაში და არხანგელსკში. ეხება რა ესერების სამარცხვინო გაქცევას არხანგელსკიდან, კერძოდ ლიხაჩის გაქცევას, კრილენკო ამბობს, რომ ამის შემდეგ მთელი წლინახევრის განმავლობაში ჩრდილოეთ რუსეთში ბრძანებლობდა ინგლისის სამხედრო კაპიტალი.

კრილენკოს სიტყვა დაიწყო 28 ივლისის, საღამოს სხდომაზე და დამთავრდა 29 ივლისის საღამოს სხდომაზე.

მოსკოვი 1 აგვისტო (რადიო). განაგრძობს რა თავის სიტყვას, კრილენკო ჩერდება ბრალდებულთა მუშაობაზე უკრაინაში. ის მიუთითებს ნაციონალურ-ბურჟუაზიულ და უკრაინულ რადასთან კავშირზე, აგრეთვე ცეკას წევრის გენშტეინის მოთხოვნილებაზე, მიეღო კრაკოველიდან ფრანგული ფულები პარტიული მუშაობისათვის და უკრაინის რადის მიერ გერმანელებთან წარმოებულ საზავო მოლაპარაკების ზოგიერთი მომენტების მოწონებაზე. უკრაინაში ესერების მთელი მუშაობიდან კრილენკო ანცალკევებს სრულიად უკრაინის სამხედრო კომისიის მოღვაწეობას, რომელიც არ დამალა ესერების პარტიის საოლქო კომიტეტმა და რომელმაც პირდაპირი კავშირი გააბა მოხალისეთა არმიასთან და იღებდა ფულებს გენერალ მელშანოვსკასა და მოკავშირეთაგან.

კრილენკო ეხება ესერების მუშაობას დონსა და ყუბანში და გადადის ესერების პარტიის 1919—1921 წ. მუშაობაზე, „მე 9 ყრილობის რეზოლიუცია, აცხადებს კრილენკო, ამბობს, რომ ამ ჟამად ესერების პარტია უარს ამბობს შეიარაღებულ ბრძოლაზე. მაგრამ უკვე ყრილობის მომდევნო ახლო ხანებში ცეკას წერილები განმარტავენ ამ რეზოლიუციას იმ გვარად, რომ იგი არ ნიშნავს უარის-თქმას მომავლისათვის შეიარაღებულ ბრძოლაზე. ჯერ კიდევ ესერების თებერვლის კონფერენციაზე, როდესაც მიღებული იყო რეზოლიუცია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლის სრულიად შეჩერების შესახებ, დონსკოიმ შეიტანა რეზოლიუციაში შესწორება, რომლითაც იგი მოითხოვდა შეიარაღებულ ბრძოლის მხოლოდ დროებით შეჩერებას, დონსკოის შესწორება არ იყო მიღებული. მაგრამ სამაგიეროდ მისმა თვალსაზრისმა გაიმარჯვა პარტიის 9-ე ყრილობაზე„ კრილენკო უპირისპირებს რა ერთმანეთს იმ რეზოლიუციებს, რომელიც მიღებული იყო შეიარაღებულ ბრძოლის შესახებ, აკეთებს დასკვნას, რომ საჭირო იყო ამ საკითხის არა მიფუჩეჩება, არამედ მასზე გარკვეული და აშკარა პასუხის გაცემა, მაგრამ გარკვეული პასუხის მაგივრად კვლავ დარჩა ყალბი მიკიბ-მოკიბული და ფარისევლური ტაქტიკა, რომელმაც ჩქარა გამოიღო თავისი ნაყოფი.

შემდეგ კრილენკო მოკლეთ ეხება ციმბირის გლეხთა აჯანყების მოწყობის პერიოდს. ამ დროს ციმბირი წარმოადგენდა ადუღებულ ქვაბს, რომლის ზედაპირზეც დასცურავდა კოლჩაკის ნაშთები. იმ ხანად ცეკა წინადადებას იძლეოდა მოეწყოთ უპარტიო გლეხთა კავშირები. ესერების პარტიის ციმბირის საოლქო კომიტეტი თითქმის წინააღმდეგი იყო ასეთი ორგანიზაციების მოწყობისა. მაგრამ ესერების პარტიის წევრები ამადროს პრაქტიკულ მუშაობას აწარმოებდენ, აწყობდენ გლეხთა კავშირებს, იმუშავებდენ მის პროგრამას, აბამდენ კავშირს გუსტო მესტოვის თეთრგვარდიელ ორგანიზაციასთან და მათ არც ერთ შემთხვევაში პარტიის საოლქო კომიტეტი არ ჰკიცხავდა.

შემდეგ კრილენკო ეხება (გამოტოვებულია).—ტამბოვის გუბერნიის დელეგატები ესერების პარტიის კონფერენციაზე ამბობდენ, რომ საჭიროა ხელი შეუწყოთ გლეხობის პროტესტს, რომელიც დაიწყო ანტონოვის მოძრაობით. კრილენკო კითხულობს (გამოტოვებულია).. გამოწვევას, რომელსაც შედეგად მოჰყვებოდა მხოლოდ შეიარაღებული ბრძოლა. სხვაგვარად არც კი შეიძლებოდა. ლოლიკური შედეგი, რომელიც უნდა მოჰყოლოდა ამ მოსაზრებას ეს იყო ანტონოვის დახმარება (გამოტოვებულია)... კრილენკო მოწმეთა ჩვენების დაპირდაპირებით ამტკიცებს თავის მოსაზრებას და ამიტომ სრულ პასუხის მგებლობის ანტონოვის მიერ დაღვრილ სისხლისას აკუთვნებს პარტიის ცეკას დღევანდელ შემადგენლობას, რომელმაც მისცა ამ მოძრაობას თავისი ლოზუნგები და წარმოშობა იგი.

„ასეთი იყო, ამბობს კრილენკო მთელი ფარისევლური პოლიტიკა ცეკასი შეიარაღებულ ბრძოლის საკითხის შესახებ. თებერვლის კონფერენცია უარს ამბობს ასეთ ბრძოლაზე, აპრილის პლენუმი მოითხოვს მის დროებით შეჩერებას, მე-9-ე ყრილობას მიუღებლად მიაჩნია არსებულ მომენტში მისი წარმოება, ხოლო სექტემბრის კონფერენცია დღის წესრიგში სვამს საბჭოთა ხელისუფლების დამხობის საკითხს".

კრილენკო გადადის ესერების პარტიის ჩრდილო-კავკასიაში მოქმედების გამოკვლევაზე. ის დაწვრილებით ჩერდება ე. წ. ადმინისტრაციულ ცენტრის მუშაობაზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა ესერების საზღვარგარეთელი დელეგაცია.

ადმინისტრატიული ცენტრის აგენტი, რომლის ჯაშუშური მიწერ-მოწერაც გამოქვეყნდა სასამართლოს სხდომებზე, აწყობს ადმინისტრატიული ცენტრის დავალებით ჯაშუშების ორგანიზაციას კონსტანტინოპოლში და იქიდან ჩრდილო-კავკასიაში გზავნის თავის აგენტებს. მას დამოკიდებულება აქვს პარიზთან, ჩეხო-სლოვაკიის მისიის საშუალებით და ტრაბახობს მით, რომ საფრანგეთის და ინგლისის კონტრ და მზვერავი ორგანიზაცია დაინტერესდა მისი მუშაობით და სთხოვა მას გაეზიარებინა მათთვის მის მიერ შეკრებილი ცნობები. ადმინისტრატიული ცენტრის

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

რადიო-დეპეშები

(„კავროსტა“)

გერმანიის ამბები

მდგომარეობა გერმანიაში.

ბორდო. 31 ივლისი (რადიო). გაზ. „ექო დე პარის“ ცნობით გარანტიების კომისიას და საკონტრიბუციო კომისიის მოხსენებაში გერმანიის ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ, აღნიშნულია, რომ მდგომარეობის გაუმჯობესება შეიძლება მიღწეულ იქნეს, სხვათა შორის, გერმანიის ვალების სამმართველოს გაუქმებით. მოხსენება ითვალისწინებს, რომ გერმანიას საშუალება ექნება გაანაღდოს 300 მილ. მარკა. სხვათა შორის, ნათელია, რომ 145 მილიარდი მანეთის ჯამი, რომელიც გათვალისწინებულია, გადამეტებული იქნება. მოხსენებაში აღნიშნულია იმ კაპიტალების ზრდის სიძნელე, რომელიც საზღვარ-გარეთ იმყოფება, ამავე დროს მოხსენებაში ნაგულისხმევია რომ მომავალში საჭირო იქნება კონტროლის დაწესება. მოხსენება აგრეთვე აუცილებლად სთვლის საერთაშორისო სესხის აღებას.

ბავარიის პასუხი.

ნაუენი. 31 ივლისი (რადიო). მოელიან ბავარიის პრემიერის პასუხს პრეზიდენტ ებერტის წერილზე. ამ პასუხის მიღებას მოელიან სამშაბათს

მარკის კურსის დაცემის მიზეზები.

ნაუენი. 31 ივლისი (რადიო). ბერლინის ბირჟაზე მარკის კურსის ისეთი დაცემის მიზეზი, როდესაც დოლარი ღირს 610 მარკა, არის საფრანგეთის ნოტა.

შეიდემანის განცხადება.

ბორდო. 31 ივლისი (რადიო). შეიდემანმა, კასელში წარმოთქმულ სიტყვაში, მიულოცა ორთავე სოციალისტურ პარტიებს დაახლოვება და განაცხადა, რომ დემოკრატია გაბედულად უნდა აღსდგეს რეაქციის წინააღმდეგ. მან სთქვა: „ვივლით ცალცალკე, ხოლო ვიბრძოლებთ ერთად“.

მეუმრავლესე სოციალისტების და დამოუკიდებელთა პარტიების წარმომადგენლებმა გაერთიანების საკითხის განხილვის დროს გადასწყვიტეს არ შეამცირონ ცალკე პარტიების დამოუკიდებლობა მანამდე, სანამ ორთავე პარტიების კონგრესი არ მიიღებს ამ საკითხის შესახებ თავის დადგენილებას. ამასთან ერთად დაადგინეს კონგრესამდე თავიდან აიცილონ ყოველივე ის, რასაც შეუძლია დაბრკოლების წარმოშობა პარტიების გაერთიანებისათვის.

რესპუბლიკის დაცვა.

ბორდო. 31 ივლისი (რადიო). რეიხსტაგმა ბერლინში მოიწონა ბრძანება გემების შესახებ რესპუბლიკის დაცვისათვის, აგრეთვე ფულის მოჭრა ალიუმინისაგან, რომელიც მოწონებულ იქნა რეიხსტაგის მიერ.

გერმანია და საფრანგეთი.

ბორდო. 31 ივლისი (რადიო). გაზ. „ბერლინერ ტაგებლატის“ ცნობით, გერმანიის პასუხი საფრანგეთის ნოტაზე კომპენსაციების გადახდის შესახებ ხვალ იქნება დამტკიცებული. პასუხი განსაზღვრავს შეფარდებას კომპენსაციის და საკონტრიბუციო გადასახადების შორის. პასუხში იქნება განცხადებული, რომ კონტრიბუციის გადახდის შეუძლებლობა ეხება კომპენსაციებსაც. პასუხი უარყოფს თხოვნას, რომელიც სცდილობს საზღვარ გარედ მყოფ გერმანიის მოქალაქეთა პრეტენზიების დაკმაყოფილების გადადებას და აღნიშნავს საფრანგეთის ნოტას ულტიმატიურ ტონს, რომელიც ხელს უშლის მოლაპარაკებისათვის სათანადო ატმოსფერის შექმნას.

პაციფისტები.

ბორდო. 30 ივლისი (რადიო). დღეს ბერლინში და სხვა ქალაქებში პაციფისტური ორგანიზაციებმა გამართეს მანიფესტაციები ომის წინააღმდეგ.

წითელ რესპუბლიკებში

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე.

მოსკოვი. 30 ივლისი (რადიო). 5 სექტემბერს, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს, მთელ რესპუბლიკაში მოეწყობა პროლეტარული ახალგაზრდობის დემონსტრაციები რ. კ. ახ. კავშირის ხელმძღვანელობით.

კენტერბერიის არქიეპისკოპოსი და რუსეთის ეკლესია.

მოსკოვი. 30 ივლისი (რადიო) კენტერბერიის არქიეპისკოპოსმა მისწერა ამხ. კრასინს, რომ მას არ შეუძლია რუსულ ეკლესიის შესახებ თავისი განცხადებების უკან წაღება. საბჭოთა მთავრობის მიერ ამ განცხადებების კატეგორიულად უარყოფის გამო, არქიეპისკოპოსი სთხოვს ინგლისის ეკლესიების წარმომადგენლებს მივიდენ რუსეთში და გამოარკვიონ მდგომარეობა.

კრასინის მდივანმა უპასუხა, რომ რუსეთის მთავრობა არ ხედავს არავითარ საფუძველს, დაბეჯითებით მოითხოვს ის, რომ ეპისკოპოსმა უკან წაიღოს თავისი რწმუნებანი. პირიქით, ამ განცხადებების ფაქტები, მშრომელთა თვალში ააშკარავებენ მხოლოდ სხვა და სხვა ეკლესიების თავადების კლასიურ სოლიდარობას არქიეპისკოპოსის განზრახვა რუსეთში კომისიის გაგზავნის შეახებ, წარმოადგენს უფრო უსაბუთო პრეტენზიას, ვიდრე იქნებოდა საბჭოთა მთავრობის განზრახვა გაეგზავნა ინგლისში კომისია იმის გამოსარკვევად, თუ რაზომ ყვლეფენ ინგლისის ეკლესიის თავადები მშრომელებს.

ბალტიის ტრანსპორტი.

მოსკოვი. 30 ივლისი (რადიო). ბალტიის ტრანსპორტით საზღვარგარეთ გატანა მილიონ ფუთზე მეტია შარშანდელის 3000 წინააღმდეგ.

ყველა ნავთსადგურებმა საშუალოთ შეასრულეს დაკვეთის 119 პროც., სავაჭრო ფლოტის შეკეთების საქმეში.

პურის ფასები.

მოსკოვი. 30 ივლისი (რადიო), უკრაინის სხვა და სხვა ადგილებიდან მოდის ცნობები ახალი მოსავალის გამო პურის პროდუქტებზე ფასის დაცემის შესახებ.

სასურსათო გადასახადის კამპანია.

მოსკოვი. 30 ივლისი (რადიო). დონის ბასეინში სწარმოებს გაძლიერებული მუშაობა სასურსათო გადასახადის კამპანიის ჩასატარებლად.

ჩერეპოვეცის სამაზრო კომორგანიზაცია გამოცხადებულია მთელი შემადგენლობით გამოწვეულად სასურსათო გადასახადის კამპანიის მთელი დროის განმავლობაში.

საზამთრო კამპანია.

მოსკოვი. 30 ივლისი (რადიო). ვოლოგდის გუბერნიაში დაიწყო საზამთრო კამპანიის მზადება. განზრახულია დაითესოს არა ნაკლებ 1919 წელს დათესილ მიწების რაოდენობისა.

ლტოლვილების ევაკუაცია.

მოსკოვი. 30 ივლისი (რადიო). იაროსლავის გუბერნიიდან ივლისის განმავლობაში გაგზავნილია სამშობლოში 11900 ლტოლვილი. ევაკუაცია დამთავრდება აგვისტოში.

ებრაელთა დარბევა.

მოსკოვი. 30 ივლისი (რადიო). მთელ ბელორუსიაში შესდგა საპროტესტო მიტინგები ვილნოში ებრაელთა დარბევის წინააღმდეგ.

საქონლის ფასები და მოთხოვნილება.

მოსკოვი. მოსკოვიდან დაბრუნებულ ამხ. სტურუას ცნობით მოსკოვში ვედრო ღვინო ღირს 14 მილ, მანეთი. მოთხოვნილება არის ყველა ხარისხზე.

დაფნის ფურცელი ღირს 10—12 მილ. მანეთი, მოთხოვნილები დიდი არ არის. არის მოთხოვნილება ლიმონზე მცირე პარტიებით. ბამბა მოსკოვში ფასდება 30 მილ. მანეთი ფუთი. არის მოთხოვნილება ჩულზე, მატყლიან ბამბაზე, კონიაკი და სპირტი მონოპოლიის ქვეშ იმყოფება.

კაპიტალიზმის სამყაროში

ლოიდ ჯორჯი რუსეთის შესახებ.

მოსკოვი. 29 ივლისი (რადიო). თემთა პალატაში ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ კონფერენციების მოწვევა საჭიროა მანამდე, სანამ ევროპაში არ დამყარდება მშვიდობიანობა. ლოიდ-ჯორჯი ფიქრობს, რომ რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა რუსეთი იცნობს ომამდე და ომის დროს აღებულ ვალებს.

შემდეგ ლოიდ ჯორჯმა აღნიშნა, რომ რუსეთი უკვე დასთანხმდა ვალების ცნობაზე, მაგრამ ეს მდგომარეობა გამართლდა კერძო საკუთრების საკითხის დასმის გამო. ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა: „რუსეთმა ან უნდა აღადგინოს ძველი მესაკუთრეთა უფლებები ან მისცეს მათ სოციალური კომპენსაცია. როდესაც რუსეთი დაგვანახვებს, რომ ის მზადაა შეასრულოს ვალდებულებანი, მაშინ იქნება თანადროული მისი სრული დიპლომატიური ცნობა.

დასკვნაში ლოიდ-ჯორჯმა გამოსთქვა იმედი, რომ ახლო მომავალში რუსეთი წარადგენს მისაღებ პასუხს.

გაფიცვები ამერიკაში.

ამერიკაში რკინისგზელთა გაფიცვა გრძელდება. პრეზიდენტი გარდინგი უნაყოფოდ სცდილობს გაფიცვის ლიკვიდაციას. გაფიცულ მაღაროების მუშებს უერთდებიან მექანიკები და „კოჩეგარები“.

— ამერიკის მაღაროს მუშების წარმომადგენლებმა განაცხადეს ინგლისელ ტრედ-უნიონების კონგრესზე ლონდონში, რომ ინგლისელ მაღაროს მუშათა გაფიცვა გამოწვეულია არა მარტო კაპიტალისტების, არამედ მთავრობის მოქმედებითაც, რომელიც იმყოფება მწარმოებელთა გავლენის ქვეშ.

საფრანგეთი და გერმანია.

ნაუენი. 31 ივლისი (რადიო). საფრანგეთის ნოტა გერმანიისადმი, ვალების შემცირებაზე უარის თქმის შესახებ, შედგენილია არა მეგობრული ტონით. ამ ნოტამ მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ბერლინის წრეებზე. გერმანიის თხოვნაზე უარის თქმის გარდა ნოტაში აღნიშნულია, რომ გერმანია ვალდებულია აცნობოს ვალის გადახდის შესახებ 10 დღით ადრე ვადის გასვლამდე. გერმანიის პრესსა ფიქრობს, რომ გერმანიის მთავრობა უარს ეტყვის საფრანგეთს ამ მოთხოვნილებაზე, რომელიც არ ემყარება ვერსალის ხელშეკრულებას.

მოკავშირეთა თანხმობის გარეშე.

ნაუენი 31 ივლისი (რადიო). გაბატონებულია აზრი, რომ საკონტრიბუციო გადასახადები შეტანილი იქნება უფრო ადრე, ვინემ საანგარიშო გადასახადები და რომ საფრანგეთი მოქმედობს საკონტრიბუციო საკითხში დანარჩენ მოკავშირეთა თანხმობის გარეშე.

რკინის გზელთა გაფიცვების გამო.

ბორდო 31 ივლისი (რადიო). რკინის გზელთა გაფიცვების ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების დროს პრეზიდენტმა გარდინმა მისცა წინადადება, რომელიც განხილული იქნება კავშირთა და რკინის გზის აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენელთა კრებაზე. ამ საკითხის განხილვა განზრახულია 1 აგვისტოს. პრეზიდენტი ფიქრობს, რომ ზოგიერთი ეს დაბრკოლებანი, რომელიც ხელს უშლიდა გაფიცვის ლიკვიდაციას, ამ ჟამად გადალახულია.

პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობა.

ბორდო. 31 ივლისი (რადიო) ინგლისის მაღაროების აღმასრულებელმა კომიტეტმა გადასწყვიტა შეიტანოს განსახილველად მემაღაროეთა საერთაშორისო ფედერაციაში საკითხი შეუძლია თუ არა ინგლისის მემაღაროებს, თავის ამერიკელ ამხანაგებისათვის ზიანის მიუყენებლად დაუშვან ნახშირის გატანა ინგლისიდან შეერთებულ შტატებში.

მღელვარება ინდიაში.

ბორდო. 31 ივლისი (რადიო) იტყობინებიან ინდიაში მომხდარ ახალ მღელვარების შესახებ: სახელდობრ პროვინცია—ინდიაში და ღირგში, სადაც იმყოფება მთავრობის რამდენიმე შენობები, საწყობები და პოლიციის სადარაჯოები დაზიანებული და გაძარცულია. მოკლულია 13 კაცი.

სამინისტრო კრიზისის გამო.

ბორდო. 31 ივლისი (რადიო) იტალიის სოციალისტებს განზრახული აქვთ მთავრობაში შესვლა. შემდეგ განაახლა მოლაპარაკება ორივე პარტიის წარმომადგენლებთან. გაზეთი იტყობინება, რომ ენერგიულ ინსტრუქციების გამო, რომელიც მთავრობამ მიაწოდა პროვინციის ორგანოებს, ფაშისტებმა გადასწყვიტეს ხელი აიღონ ყოველივე გამოსვლებზე.

მსოფლიო ომის მუქარა.

ნაუენი. 31 ივლისი (რადიო). მღვდლებს—კონფერმისტების კრებაზე ლოიდ-ჯორჯმა წარმოსთქვა სიტყვა იმ ფარულ საშიშროების შესახებ, რომელიც ემუქრება მსოფლიოს. ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ ადრე თუ გვიან იფეთქებს ახალი საერთაშორისო კონფლიქტი, თუმცა ქვეყნები ძალიან დაიღალენ, მაგრამ დღეს ხელ ახლა ადგენენ ახალ მოთხოვნილებებს. მზადდება ახალ-ახალი მანქანები საშინელი სიძლიერისა, რომელიც აქამდე არ იცოდა მსოფლიომ, უიარაღო ხალხზე თავდასხმისათვის და ახალი მკაცრი ომის საწარმოებლად. ლოიდ-ჯორჯმა სთქვა, რომ, თუ ევროპის და ამერიკის ქრისტიანული ეკლესიები მზად არიან დამშვიდებით უცქერიან ამ ამბებს, მაშინ უკეთესი იქნება დაიხუროს ამ ეკლესიის კარები.

გერმანია და ერთა ლიგა.

ნაუენი. 31 ივლისი (რადიო) გერმანიის ერთა ლიგაში მიღება იქნება ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი წინ. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ინგლისი მხარს უჭერს გერმანიის ერთა ლიგაში მიღების საკითხს. ბრიტანეთის მთავრობის წრეები შიშობენ, რომ გერმანია უარს იტყვის მისი ლიგაში შეყვანის თხოვნაზე.

გაზ. „მანჩესტერ გარდიენი“ და „დეილი ტელეგრაფი“ ამბობენ, რომ გერმანიის ლიგაში შეყვანა შეიძლება უზრუნველყოფილად ჩაითვალოს.

ირლანდია და შეერთებული შტატები.

ნაუენი. 31 ივლისი (რადიო) ნიუ-იორკში მოელიან ამ დღეებში დევალერის ჩასვლას. შეერთებულ შტატებში დაიწყო მოძრაობა ირლანდიის რესპუბლიკის ცნობის სასარგებლოდ.

პუანკარე და ლოიდ ჯორჯი.

ბორდო. 31 ივლისი (რადიო). საფრანგეთის გაზეთები ხაზს უსვამენ პუანკარეს ლოიდ ჯორჯთან მომავალ შეხვედრის დადებით მხარეს, რომელიც მოხდება 15 აგვისტომდე გერმანიის მიერ 60 მილიონი მარკის შეტანისათვის, რის გაცვლასაც ითხოვს გერმანია.

საბერძნეთი და კონსტანტინეპოლი.

ბორდო. 31 ივლისი (რადიო). ათინაში ამბობენ, რომ საბერძნეთის ჯარებს არა აქვს განზრახული შევიდენ კონსტანტინეპოლში სახელმწიფოების თანხმობის გარეშე.

კონსტანტინეპოლში სახელმწიფოების უმაღლესმა კომისიებმა დაადასტურეს გადაწყვეტილება, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ ყოველგვარ გამოსვლებს რაიონებში, რომელიც მათ აქვთ მინდობილი და ამისათვის მიიღეს გამაფრთხილებელი ზომები.

იტყობინებიან, რომ მეორე სუესის პოლხმა (ინგლის.) მიიღო ბრძანება კონსტანტინეპოლში შესვლის შესახებ.

ყველა ამ ხმების გამო გაზ. „ჟურნალი დე დება“ შენიშნავს: ჩვენ ძნელად წარმოვიდგენთ, რომ საბერძნეთმა დაათავოს თავის დაცემის ფაქტი კონსტანტინეპოლზე თავდასხმით, რომელსაც იცავენ საკავშირო ჯარები. ყოველ შემთხვევაში ეს გარემოება ამტკიცებს, რომ საჩქაროდ უნდა მოეღოს ბოლო არეულობას ახლო აღმოსავლეთში.“

ბულგარეთი და კონტრიბუცია.

ბორდო. 31 ივლისი (რადიო). ბულგარეთმა წარუდგინა საკონტრიბუციო კომისიას თავის პასუხი უკანასკნელ ნოტაზე და ითხოვს 3 წლის ვადას 112 მილ. ფრანკის ოქროს გადასახადისათვის, რომელსაც მოითხოვს საკონტრიბუციო კომისია.

მაროკკოში.

ბორდო 31 ივლისი (რადიო) გაზ. „ტანის“ ცნობით აბდელ-მალეკის შორის მოხდა შეიარაღებული შეტაკება.

კონსტანტინოპოლი.

ბორდო. 31 ივლისი (რადიო) საფრანგეთის მთავრობამ უარით უპასუხა საბერძნეთის ნოტას კონსტანტინოპოლის დაკავების ნებადართვის შესახებ, პრესა ხაზს უსვამს, რომ საკითხის გარშემო მოკავშირეთა შორის სრული შეთანხმება არის. საკავშირო ჯარების მთავარ სარდალს ყველა სახელმწიფოებმა მისცეს შეთანხმებული ინსტრუქციები, რომელმაც დაამშვიდა აღელვებული მცხოვრებები.

ვენიზელოსის გაზეთები ურჩევენ საბერძნეთს დაემორჩილოს მოკავშირეთა გადაწყვეტილებას. ამავე დროს საბერძნეთის ავანტიურა სისრულეში მოდის. როდოსტოში გრძელდება საბერძნეთის ჯარების გადმოსხმა.

სმირნა.

ბორდო. 31 ივლის (რადიო). სმირნის რაიონის ავტონომიის გამოცხადება მოხდება 31 ივლისს.

ბრუკლინის ხიდი.

ბორდო. 31 ივლისი (რადიო). ცნობილი ბრუკლინის ხიდი სან-ფრანცისკოში დანგრეული იქნება და მის ადგილზე აშენებული იქნება თანამედროვე კონსტრუქციის ხიდი, ვინაიდან ეხლანდელი ხიდი საშიშროებას წარმოადგენს მოძრაობისათვის.

საბერძნეთი და სმირნა.

ბორდო. 31 ივლისი (რადიო). სტერგიადისის პროკლამაცია, რომელიც გამოქვეყნებულია სმირნაში, აცხადებს ბერძნების მიერ დაკავებულ რაიონს. ავტონომიურად საბერძნეთის პროლეტარიატის ქვეშ იმ პრინციპებზე რომელიც აღიარეს მოკავშირეებმა ომის დროს და წინადადებას აძლევს მცხოვრებლებს შეადგინონ ადგილობრივი საბჭო, შეადგინონ სამოქალაქო გვარდია შინაგანი წესწყობილების დასაცავად. ხოლო საზღვრების დაცვას კისრულობს საბერძნეთის არმია. პროკლამაციაში ერთი სიტყვაც არ არის თქმული პარლამენტის შესახებ.

ამერიკაში მომხდარ გაფიცვების გამო

რომი. 31 ივლისი (რად.) შეერთებულ შტატების ნახშირის მაღაროების მუშების გაფიცვა გრძელდება. გარდინგმა უბრძანა ფედერალურ ჯარებს დაიკავონ მაღაროები.

კრიზისი იტალიაში.

ბორდო. 31 ივლისი (რადიო). მეფემ შეკითხვა მისცა ორლანდოს შეუძლია თუ არა მას ეხლანდელ პირობებში კაბინეტის მოწყობა დე—ნიკოლასთან ერთად. ორლანდო პასუხს მისცემს დღეს.

„ტრიბუნა“ ამბობს, რომ სოციალისტები მიიღებდნენ მონაწილეობას დემოკრატიულ მთავრობაში, რომ მათი მონაწილეობა დახმარებას უწევდეს მთავრობას, მაგრამ მათ შეუძლებლად მიაჩნიათ მონაწილეობის მიღება მემარჯვენეებთან ერთად.

სოციალისტები თანახმა არიან მთავრობაში თანამშრომლობაზე: მეფემ მიიღო მათი ლიდერი ტურატტი.

— ორლანდო უარს ამბობს კაბინეტის მოწყობაზე იმიტომ, რომ სოციალისტებს არ სურთ თანამშრომლობა ფაშისტებსა და მემარცხენეებთან.

— მეფემ მიიწვია დე-ნიკოლა, რომელმაც დიდხანს ესაუბრა ფაქტას. ადვილი შესაძლებელია ფაქტას მთავრობაში დაბრუნება.

ჰოლანდიაში.

ბორდო. 31 ივლისი (რადიო) რკინის გზის მუშათა ფედერაცია ჰააგაში წინააღმდეგია ახალი სამუშაო ქირის დებულების. ცდილობენ გაფიცვა თავიდან აიცილონ.

საბერძნეთ—ოსმალეთის ომი.

ბორდო. 31 ივლისი (რადიო). ანგორიდან იტყობინებიან, რომ ჩალის რაიონში მოიგერიეს ბერძნების შემოტევა.

ბავარიის პოზიცია.

ბორდო. 31 ივლისი (რადიო). ვიურტენბერგმა და ბადენ-ბადენმა მოიწონეს გერმანიის პოლიტიკა ბავარიის მიმართ.

პოლონეთის კრიზისის გამო.

ბორდო 31 ივლისი (რადიო). საბჭოს პრეზიდიუმმა ვარშავაში წინადადება მისცა პილსუდსკის შეადგინოს კაბინეტი.

ჰამბურგში.

ბორდო. 31 ივლისი (რად.). ზღვის მექანიკოსებმა გადასწყვიტეს განაახლონ მუშაობა.

ოქმებიდან აშკარად სჩანს, რომ ადმინისტრატიულმა ცენტრმა გასცა ბრძანება გადაეთარგმნა ფრანგულ ენაზე ბარანოვიჩის მიერ გამოგზავნილი ცნობები საბჭოთა ჯარების შესახებ.

კრილენკო ამბობს, რომ თავის დროზე ტიმოფეევმა განაცხადა რომ იგი არას დროს არ ყოფილა ჯაშუში და ამიტომ კრილენკო სვამს კითხვას: „მაშ რატომ დასჭირდათ ფრანგულ ენაზე რუსეთის ჯარების შესახებ მიღებული ცნობების გადათარგმნა.

წინააღმდეგ მე-9 ყრილობის დადგენილებისა, ადმინისტრატიული ცენტრი, რომელსაც ხელმძღვანელობდენ პასუხისმგებელნი ესერების, აწყობდა შეიარაღებულ გამოსვლებს ჩრდილო კავკასიაში, რომლის სათავეში იყვენ ავანტიურისტები და თეთრ-გვარდიელები. აი ვინ მიუძღოდა სასიკვდილოდ და ტანჯვა-წამებისაკენ რამდენიმე ათას გლეხკაცობას და ესერები, რომელთაც მოაწყვეს ეს მოძრაობა ისევ სოროებში იმალებიან.

სხვა და სხვა დოკუმენტების გამოქვეყნებით კრილენკო ააშკარავებს ადმინისტრატიულ ცენტრის კავშირს კრონშტადტის მოძრაობასთან. მას მოჰყავს ცნობები იმის შესახებ, თუ ადმინისტრატიული ცენტრი, როგორ აგზავნიდა აგენტებს განაპირა ქვეყნებში, აწარმოებდა მოლაპარაკებას კარელიის თეთრ-გვარდიელ ორგანიზაციებთან და როგორ ემზადებოდა კრონშტადტის მეამბოხეთათვის სურსათის გაგზავნის თაობაზე, ფულით დახმარება, ამბობს კრაცენკო, პრაქტიკული კავშირი განაპირა კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციებთან პოლიტიკური კავშირი უცხოელ სამინისტროებთან, კავშირი რუსეთის კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციებთან—ყოველივე ეს გვისახავს აშკარა და ცოცხალ სურათს“.

აკეთებს რა დასკვნას ყველა ამ პერიოების მუშაობიდან კრილენკო სვამს ორ კითხვას: „საშიშარნი არიან თუ არა საბჭოთა რესპუბლიკისათვის ხსენებული ბრალდებულები და უნდა დაისაჯონ თუ არა ისინი იმ კანონებით, რომელზედაც მიგვითითებს სისხლის სამართლის კოდექსი.“ ორივე ამ კითხვაზე დადებით პასუხს იძლევა.

29 ივლისს საღამოს სხდომაზე კრილენკო ეხება ესერების პარტიის ტერორისტულ და ექსპროპრიატორულ მოქმედებას. მოჰყავს რა დასამტკიცებელი საბუთები, მოწმეთა ჩვენებაში და დოკუმენტები, კრილენკო ცხადად ააშკარავებს ესერების პარტიის ცეკას წევრების სრულ პასუხის-მგებლობას ამ ტერორისტულ და ექსპროპრიატორულ მოქმედებისათვის.

სასურსათო გადასახადის კამპანია

ახალქალაქის მაზრა.

ახალქალაქის სამაზრო სასურსათო კომისარის ცნობით წინასწარი საორგანიზაციო მუშაობა სასურსათო გადასახადის კომპანიის დასაწყებად დასრულებულია. გადასახადს მოსახლეობა კარგის თვალით უყურებს.

პურეულს მთელს მაზრაში კარგი პირი უჩანს. მოსავალი საშუალოზე უკეთესი იქნება. ივლისის 14-მდე მოსულ სეტყვისაგან და დიდ ნიაღვრებისგან დაზარალებულ დათესილ მიწების სივრცე 1.000 დესეტინას არ აღემატება. ივლისის 15 ს შემდეგ სეტყვა კიდევ მოვიდა და მინდვრები დააზარალა ოთხის სოლის მანძილზე. ზარალის რაოდენობას არკვევენ.

დუშეთის მაზრა.

დუშეთის მაზრიდან დაბრუნდენ სახალხო სასურსათო კომისარიატის საორგანიზაციო ცენტრის უფროსი ამხ. როლკე და მთავარი საგადასახადო ინსპექტორი, რომელთაც ივლისის 27 ს დუშეთში მოიწვიეს სამაზრო სამეული და დაწვრილებით გააცნეს სასურსათო გადასახადის შესახებ გამოცემული დეკრეტები და ინსტრუქციები. სამეულის შემდეგ შეკრებილ იქმნენ ყველა ადგილობრივი ინსტრუქტორები, რომელთაც დავალებული აქვთ სოფლებზე და გადამხდელთა შორის გადასახადის განაწილების ხელმძღვანელობა. ინსტრუქტორებს მიეცათ შესაფერი დირექტივები.

აღსანიშნავია ახალგორის რაიონის განსაკუთრებული მდგომარეობა ეს რაიონი სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტით მიწერილია სამხრეთ ოსეთზე, მაგრამ სამხრეთ ოსეთის აღმასკომს იგი ჯერ არ ჩაუბარებია. ამიტომ ამ რაიონში ამ ჟამად დუშეთის სამაზრო სამეული აწარმოებს სასურსათო გადასახადის წინასწარ მუშაობას. იმ შემთხვევაში, თუ ეს რაიონი გადაეცემა სამხრეთ ოსეთს, მაინც საჭიროა რომ საქმის სარგებლიანობის მიზნით სასურსათო კამპანია აქ ჩატარებულ იქნეს დუშეთის სამაზრო სამეულის მიერ.

მუხრანის რაიონში დღემდე არაფერი გაკეთებულა, თუმცა მიღებულ იყო ჯეროვანი ზომები. მუხრანის აღმასკომის თავმჯდომარის სიტყვით ისინი მთელს დროს ბანდიტიზმთან ბრძოლას ანდომებენ. ამ რაიონში ამ ჟამად იმყოფება სახ. სას. კომისარიატის ინსტრუქტორი, რომელიც პირადად უხელმძღვანელებს საგადასახადო მუშაობას.

ივლისის 30 სთვის მთელს მაზრაში დანიშნული იყო სათემო საბჭოთა პლენუმების სხდომები სოფლებზე და გადამხდელთა შორის გადასახადის გასანაწილებლად,

საგადასახადო მუშაობის დაწყება მაზრაში დაიგვიანა, მაგრამ სამაზრო სამეული ზომებს იღებს საგადასახადო კომპანიის სწრაფად განხორციელებლად.

ბორჩალოს მაზრა

სამაზრო სამეულს უკვე მოსდის საბოლოოდ შევსებული შეწერილობის ფურცლები. ასეთი ფურცლები მიღებულია 5 თემიდან. ქვედა ბორჩალოში საქმე რამდენადმე ფერხდება მოსახლეობის გახიზვნის გამო. გადასახადის ნარჩენის შეგროვება წარმატებით მიმდინარეობს.

სახალხო სასურსათო კომისარიატმა შეიმუშავა და სამაზრო სასურსათო სამეულებს და სასურსათო კომისრებს დაუგზავნა ინსტრუქცია ადგილობრივ აღმასკომთა სასარგებლოდ სასურსათო გადასახადის საპროცენტო ანარიცხის გადადების შესახებ.

თანახმად ინსტრუქციისა სამაზრო სასურსათო კომიტეტი ვალდებულია რომ ყოველ თვე, არა უგვიანეს 5 რიცხვისა ცნობაში მოიყვანოს მაზრაში შეგროვილ სასურსათო გადასახადის რაოდენობა და აქედან 10 პროც. გადარიცხოს სამაზრო საბჭოს სასარგებლოდ, ხოლო 5 პროც. სათემო საბჭოს სასარგებლოდ. აღმასკომებს უფლება არა აქვთ, თავის ნებით აიღონ საპროცენტო ანარიცხი გადასახადის აკრების დროს. თუ სამაზრო, ან სათემო საბჭოს სურს, მიიღოს ნატურის ნაცვლად ფული, ან ფულის ნაცვლად ნატურით და ან ერთის პროდუქტის ნაცვლად მეორე პროდუქტი, ამ შემთხვევაში იგი უნდა შეუთანხმდეს სამაზრო სასურსათო კომისარს, რომელსაც უფლება აქვს ამისა. სამაზრო საბჭოს სასარგებლოდ გადარიცხულ 10 პროცენტით და სათემო საბჭოს სასარგებლოდ გადარიცხულ 5 პროცენტით ადგილობრივმა აღმასკომებმა უნდა დაჰფარონ მთელი ის ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია სასურსათო გადასახადის შეგროვებასთან.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

მოსავალი.

(საქართველოს ცენტრალურ სამმართველოს ცნობები).

15 ივლისი.

გორის მაზრა. 15 ივლისის ცნობებით ჯერ-ჯერობით მიღებულია შემდეგი შვიდი თემისაგან: თქიავის, დოდების, ათენის, ქვემო-ჭალის, ხცისის, კავთისხევის და გორის რაიონის მახლობელ სოფლებიდან ყველა ზემოდჩამოთვლილ თემებში მოსავალი საშუალოზე მეტია. 5 ბალიანი სისტემით მოსავალი ფასდება შემდეგნაირად. სიმინდი—4, 1, საზამთრო ხორბალი—3,8, საზაფხულო ხორბალი—3,2, ქერი საზამთრო—4, საზაფხულო—3,5, ჭვავი—5, შვრია (ატენში)—5, ფეტვი (ატენში) —5, ლობიო—4,2, ქართოფილი—4, შვიდ მთავარ კულტურის (სიმინდის, ხორბლის, ქერის ლობიოსი და ქართოფილის) საშუალო ბალი უდრის 3,8. 1 ივლისიდან მოსავალი რამოდენიმედ გამოკეთდა—საშუალო ბალი ამავე 7 მთავარ კულტურის იყო—3,4. ალაგ-ალაგ სწარმოებდა პურის აკრეფა, რომელსაც ხელი შეუშალა ხშირმა წვიმებმა და ნიაღვარმა და საგრძნობლად შეამცირა მოსავალი, რომელიც კარგს იმედებს იძლეოდა.

თიანეთის მაზრა.

ერცოს, ახმეტის, არტანის, თიონეთის და ზემო თიონეთის რაიონებში მთელი თვის განმავლობაში (15 ივნისიდან 15 ივლისამდე) მოდიოდა განუწყვეტელი წვიმები—ალაგ-ალაგ სეტყვაც. მოსავალი ამ პერიოდში ცოტათი გამოკეთდა: სიმინდი —4 საზამთრო ხორბალი—2,8, საზაფხულო —3,0, ქერი საზამთრო—2,8, საზაფხულო—3, ფეტვი, ლობიო და ქართოფილი—4.

ქუთაისის მაზრა.

მოსავლის მდგომარეობა ფასდება ამ გვარად: სიმინდი—4,5, ხორბალი—3,8, ღომი—3,3, ფეტვი—3,6, ლობიო—2,9, ქართოფილი—3,2, ვენახი —1,8, ხეხილის ბაღი—4,2, ბოსტნები—3,6, ბამბა—3,3, თამბაქო—2,6. ამ რიგად სიმინდის მოსავალი კარგია; ხორბალის, ფეტვის, ბაღების და ბოსტნეულობის საშუალოზე მეტი; ღომის, ლობიოსი, ქართოფილის, ბამბის და თამბაქოსი—საშუალო.

ვენახების—საშუალოზე მეტი. გასულ თვის განმავლობაში მოდიოდა წვიმები, რამაც ხელი შეუწყო სიმინდის სწრაფ ზრდას და შეიტანა საგრძნობი გაუმჯობესება სასოფლო-მეურნეობის ყველა კულტურაში.

გამონაკლისს წარმოადგენენ ვენახები, რომლებიც წვიმებით და ღრუბლიანი ამინდებით თანდათან ზიანდებიან.

შორაპნის მაზრა.

15 ივლისისათვის სიმინდის და ქართოფილის მოსავალი საშუალოზე მეტია; ლობიოსი—საშუალო.

ახალციხის მაზრა

ექსპლოატატორების გასამართლება.

შრომის დაცვის განყოფილება და პროფკავშირები ყოველივე ზომებს ღებულობენ კერძო მწარმოებლების მიერ შრომის დაცვის კანონების დარღვევის წინააღმდეგ. ოფიციალურად მოწყობილმა კომისიებმა აღმოაჩინეს ბავშვის შრომის ექსპლოატაციის და შრომის დაცვის კანონების დარღვევის მრავალი ფაქტები. ამ დღეებში მოხდება დამნაშავეთა საჯარო გასამართლება. მოსალოდნელია დიდი დაჯარიმება. სასამართლოში მიცემულია ზოგიერთი სახელმწიფო დაწესებულებები, თანამშრომლების უკანონოდ მიღება—დათხოვნისათვის, შრომის დაცვის განყოფილების გარეშე გასამართლება იწვევს დიდ ინტერეს მუშა-მოსამსახურეთა შორის, რომელთაც ჯერ არ უნახავთ პრაქტიკაში შრომის კანონების ასე საჯარო დაცვა. ბრალდებულებად პროცესში გამოდიან პარტიის სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი და აღმასკომის პრეზიდიუმის წევრები.

ბრალდებულებს უფლება ეძლევა გამოიყვანონ დამცველები ადგილობრივი ადვოკატურიდგან.

აფხაზეთი

პასუხისმგებელ მუშაკების ჯამაგირი.

სახალხო კომისართა საბჭომ დამტკიცა შრომის სახალხო კომისარიატის პროექტი პასუხისმგებელ მუშაკების ტარიფის შესახებ. განაკვეთები ცხოვრებაში ტარდება 1 ივლისიდან. ყველა პასუხისმგებელი მუშაკები გადაირიცხებიან საერთო-სახელმწიფო ულუფაზე. ჯამაგირების დარიგების წესის გამორკვევა მიენდო ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

ცეცხლის მქრობელი სკაუტები.

სოხუმის სკაუტების დრუჟინასთან ეწყობა თავისუფალი ჯგუფი ცეცხლის მქრობელთათვის დასახმარებლად.

პროფესიონალური მუშაკები.

ოჩემჩირიდან იტყობინებიან, რომ ქალაქში და მაზრაში პროფესიონალურ მუშაობაში იმჩნევა პასივობა. ცოტაოდენი მუშაობა ხდება სახალხო კავშირის საექიმო-სასანიტარო, მტვირთავების და მეთამბაქოების კავშირებში. საბჭოთა მუშაკები სრულებით არ ღებულობენ მონაწილეობას პროფესიონალურ მოძრაობაში. უკანასკნელ დროს მოხდა მეთამბაქოების, საექიმო-სასანიტარო და სახალხო კავშირების გაწმენდა. ყველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირებში, გარდა საბჭოთა მუშაკებისა, არჩეულია ადგილობრივ კომიტეტები. განათლების მუშაკთა კავშირი სავსებით მოუწყობელია. კავშირებში სუსტობს კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა.

სოხუმ-კოდორის რკინის გზის გაყვანა.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით გაცემულია თანხები სოხუმ-კოდორის წვრილ ლიანდაგიანი რკინის გზის გაყვანის სასწრაფოდ დასამთავრებლად.

26 ივნისს დაიწყო გაძლიერებული მუშაობა და ორი დღის შემდეგ მუშების რიცხვი 20 კაციდან გაიზარდა 80-ამდე. მატარებელი დილიდან საღამომდე მუშაობს ხრეშის გადმოსაზიდად, ხოლო ღამ-ღამობით ეზიდება დასაგებ მასალებს. ყოველდღიურად რკინის გზით ვადაქონდათ 10—20 ათას ფუთამდე ხრეში და მასალები. 26 ივნისიდან შესრულებულია შემდეგი მთავარი სამუშაო: გაყვანილია 25 საჟენამდე ხიდი, 2 სამი მეათედი ვერსი დაგებულია ლიანდაგი, 120 კუბ. საჟ. ხრეშით დაფენილია ოცდა ხუთი მეათედი ვერსის მანძილი და შესრულებულია 90 კუბ. საჟენი მიწის სამუშაო. 15 ივლისს სამუშაოზე იყვნენ 130 კაცი, მუშაობა მიმდინარეობს ძლიერ მძიმე პირობებში მცირე რიცხოვან შტატისათვის, მუშები დღე და ღამეში მუშაობენ 16—18 საათს, რათა სამუშაო დაამთავრონ მოცემულ ვადაში. მუშაობის ამგვარი ტემპით ეს მიზანი მიღწეული იქნება.

თავისუფალ პროფესიების დაბეგვრა.

თავისუფალ პროფესიების სამრეწველო გადასახადით დაბეგვრის საკითხის შესახებ სახალხო კომისართა საბჭომ, სამრეწველო გადასახადის დეკრეტის შეცვლის გამო, დაადგინა გაუქმდეს უკანასკნელით თავისუფალ პროფესიების დაბეგვრა და ასეთი შეიცვალოს ამ პირთათვის საშემოსავლო გადასახადით, რომელიც შეიკრიბება შემოსავლის 5 პროცენტით დაბეგვრით ყოველ ნახევარი წლის განმავლობაში.

აზერბაიჯანი

სასურსათო გადასახადის მსვლელობა.

სამაზრო სასურსათო კომისარის ცნობით შუშის მაზრაში მოლარის და კირაკიშლარის ზოგიერთ რაიონებში ნათესები კალიებისგანაა განადგურებული. სხვა რაიონებში კი დაზიანებულია სეტყვისაგან და გვალვისაგან. ყუბანის მაზრაში სამაზრო სასურსათო კომისარიატთან თავს იყრიან მუშა პურის მქონენი დაღესტნის რესპუბლიკიდან, რომლები ყუბანის მაზრიდან ყანებში მუშაობის შემდეგ ბრუნდებიან დაღესტანში. ისინი ცდილობენ, რათა ნება დართონ მათ გაიტანონ მუშაობის ქირათ ნაშოვნი პური. სასურსათო კომისარმა დეპეშით აცნობა სამაზრო სასურსათო კომისარიატს, რომ მუშებს შეუძლიათ საზღვარ გარეთ გაიტანონ მათ მიერ მუშაობის ქირათ აღებული პური თითოს არა უმეტეს 10 ფუთისა და ისიც იმ პირობით, თუ მუშა წარმოადგენს წერილობითი მოწმობას ალმასკომიდან, რომ პური მას მუშაობის ქირათ აქვს ნაშოვნი. ზაკათალის მაზრაში სასურსათო გადასახადის აკრება უკვე იწყება. ჯევანშირის მაზრაში ევლახის, შირალინის, ბარდინის, ორი მესამედი ტერტერის და მეტი ნაწილი მეტელინის რაიონის მცხოვრებთა გახიზნული არიან მთებში და დაბრუნდებიან 3 კვირის შემდეგ. სხვა რაიონებში სასურსათო გადასახადის აკრეფა უკვე იწყება.

ნავთის ფრონტზე.

ივნისში ზღვით გატანილი იქნა 22,583,688 ფუთი ნავთი, ესე იგი 3,283,000 ფუთით მეტი, ვიდრე მაისში. ზღვით გატანა შესრულებული იქნა 113 პროცენტით, ვიდრე დასახული იყო. რკ. გზ. გატანილ იქნა 1,533,568 ფუთი. ნავთის მილით გადაქაჩულ იქნა 40,305 ფუთი. რკინის გზის მიერ თავისი საჭიროებისთვის გადაქაჩულ იქნა ჩვეულებრივი მაზუთი 479,510 ფუთი. ადგილობრივი და ტარის გასავალი გამოიხატა 2,533,952 ფუთით. ივნისში, როგორც მაისში, მთავარი ყურადღება მიქცეული იყო ნავთის პროდუქტების განუწყვეტლივ ფლოტისთვის მიწოდებაზე, რისთვისაც ნავთის პროდუქტებს თავს უყრიდენ ნავთსადგურებში აზნევთის საბარგო სამმართველოებთან და იმ ქარხნებთან, რომლებიც მოწყობილია დიდძალი ტვირთის მისაწოდებლათ. ნავთის პროდუქტების თადარიგი პირველ ივლისისთვის გამოიხატა შემდეგ ციფრებში: საბარგო სამმართველოს განკარგულებაში დარჩა 21,523,594 ფუთი მაგარი პროდუქტებისა და 21,114,377 ფუთი გადამუშავებული, მთლათ 42,637,971 ფ სამრეწველო სამმართველოს განკარგულებაში 2,444,700 ფუთი მაგარის და 11,676,651 ფუთი გადამუშავებული, მთლათ 14,121,351 ფუთი. საქარხნო სამმართველოს განკარგულებაში დარჩა 9,855,952 ფუთი მაგარი და 48,234,016 ფუთი გადამუშავებული, სულ 58,086,968 ფუთი. ამრიგათ პირველ ივლისში მთელი დარჩენილი პროდუქტების რაოდენობა უდრის 114,849,290 ფუთს, აქედან 81,025,044 ფუთი გადამუშავებულია.

ქრონიკა

◆ **ქალაქ თბილისის ახალი რუკა.** ქალაქის სტატისტიკურმა განყოფილებამ მიიღო ქალაქის ალმასკომის მიერ დაკვეთილი თბილისის ახალი რუკა 22 წლის ცნობებით, ყველა საბჭოთა და სხვა დაწესებულებების აღნიშვნით. ეს რუკა გამოიცემა გასაყიდად ქალაქის სტატისტიკურ განყოფილების მიერ და ეღირება 300 ათასი მანეთი.

◆ **მუშა ხელის მოძრაობა** 29—30 ივლისს თბილისის შრომის ბირჟაში აღნიშნულია 1433 უმუშევართა გამოცხადება. ხელახლა გატარებულია რეგისტრაციაში 144 უმუშევარი, მათ შორის 106 მამაკაცია და 68 ქალი. მოთხოვნილება მუშახელზე შემოვიდა 108, ხოლო სამუშაოზე გაიგზავნა 108 მათ შორის 89 მამაკაცი და 19 ქალი.

◆ ამ დღეებში კახეთში მიემგზავრებიან პოეტები: გ. ქუჩიშვილი, ლ. ძიძიგური და დ. თურდოსპირელი. ისინი გამართავენ ლიტერატურულ საღამოებს: თელავში, სიღნაღში, ველის ციხეში და გურჯაანში.

◆ **ახალციხის მაზრის დაკეტვა.** სახალხო სასურსათო კომისარიატის დადგენილებით ახალციხის მაზრა დაიკეტა და იქიდან პურეულის, კარტოფილის, საქონლის, ერბოსი, მატყლისა და თევზის გამოტანა სახალხო სასურსათო კომისარიატის ნებადაურთველად აკრძალულია იმ დრომდე, ვიდრე ამ მაზრაში არ დასრულდება სასურსათო გადასახადის კამპანია—განსაკუთრებულ შემთხვევებში ნებართვას მისცემს ახალციხის მაზრის სასურსათო კომისარიატი.

◆ **პენსია არსენა ჯორჯიაშვილის მშობლებს.** ივლისიდან ცენტრალურ დამზღვევი კასის საპენსიო განყოფილება აძლევს პენსიას არსენა ჯორჯიაშვილის მოხუც მშობლებს.

◆ **ლექციები ეპიდემიის შესახებ.** პოლიტიკური განათლების მთავარ განყოფილებას განზრახვა აქვს მოაწყოს მარქსისტულ წრეებში მთელი რიგი ლექციებისა ეპიდემიის შესახებ. პირველი ლექცია შესდგება ხუთშაბათს 3 აგვისტოს, რკინის გზის მთავარ სახელოსნო დეპოში ამ თემაზე „ადამიანის წარმოშობა“. მომხსენებლად გამოდის ამხ. ელჩანინოვი. ლექციას მოჰყვება სურათების ჩვენება ეკრანზე.

◆ **ბოროტმოქმედებანი თბილისში.** (იანვარი—ივნისი). ქალაქის სტატისტიკურ განყოფილების ცნობებით 1922 წლის პირველ ნახევარში სისხლის სამართლის მილიციაში აღნუსხულია 823 პირი, რომლებიც შემჩნეულია სხვა და სხვა ბოროტმოქმედებაში, მათ შორის 717 მამაკაცია, ანუ 81,3 პროცენტი და 105 ქალი—ანუ 18,7 პროც სპეციალური მდგომარეობით ეს პირები ნაწილდებიან ამ რიგად:

	საერთო რიცხვი		
კვალიფიცაური მუშები	39	ანუ	4,7 პრ.
შავი მუშები	63	„	7,7 პრ.
მოსამსახურეები	141	„	17,3 „
მესაკუთრე შინამრეწვ.	48	„	5,8 „
ვაჭრები	45	„	5,5 „
სახლის პატ.	16	„	1,9 „
მოწაფეები	11	„	1,3 „
დარჩენ პროფესიის	79	„	9,6 „
უმუშევრები	27	„	3,3 „
გამოურკვეველ პროფეს.	353	„	42,9 „

ეროვნების მიხედვით ეს პირები ამ გვარად ნაწილდებიან:

ქართველები	220	ანუ 26,8	პროც.
რუსები	212	„ 25,8	„
სომხები	293	„ 35,6	„
მუსულმანები	53	„ 6,5	„
ებრაელები	11	„ 1,3	„
სხვა ეროვნების	33	„ 4,0	„

დღეს თეატრებში.

რუსთაველის თეატრში. რუსეთის დამშეულთა სასარგებლოდ—საღამო—ბალეტი, ე. მელცერისა, ვ. ტიხომიროვის და სახელმწიფო ბალეტის მსახიობთა მონაწილეობით.

1) კოპელია, 2) ხორეოგრაფიული ეტიუდები.

ქართული კლუბის საზაფხულო თეატრი. მუსიკალურ კომედიის წარმოდგენა.

საზაფხულო თეატრი „არტო“. წარმოდგენა—სეირნობა.

თეატრი „წრე“. კონცერტი—კაბარე.

სომხური კლუბის თეატრი—წარმოდგენა—სეირნობა.

მუშათა ცენტრ. კლუბი. ქონდრის კაცების წარმოდგენა.

მუშათა ცენ. კლუბის ახალი თეატრი—კინო.

თავისუფალი თეატრი. ნიღაბების იუმორისტული პროგრამა.

თეატრი „ამირანი“. კონცერტი—კაბარე.

პროფკავშირთა საბჭოს კლუბი. ლიტერატურული საღამო.

ცირკი. მრავალ მხრივ საინტერესო პროგრამა.

კინო თეატრები.

„სოლეი“—სამღვთო ბრილიანტი.

„ეთერი“—კინო დრამა.

„არფასტო“—ტარნოვსკაიას მემუარები.

„ოაზისი“—ნიღაბი თეთრი კბილებით.

მუშათა ცენტრალური კლუბის მოღვაწეობა

(გამგეობის მოხსენების მიხედვით).

მიმდინარე წლის დასაწყისიდან მუშათა ცენტრალურ კლუბის მუშაობას ხელმძღვანელობდა განსაკუთრებული კოლეგია, რომელიც მარტში შესცვალა პროფკავშირთა საბჭოს კულტურულმა განყოფილებამ გამგეობით, რომელიც შედგენილი იყო პროფკავშირთა თბილისის კომიტეტის და საქართველოს კომუნისტურ ახალგაზრდობის წარმომადგენელთაგან და იმ პირთა კოოპტაციით, რომელნიც საჭირონი იყვენ კლუბში მუშაობისათვის (პროლეტარულ კულტურის განყოფილების გამგე ამხ. იგნატოვი, ხელოვნების და განათლების მუშაკთა კულტურ განყოფილების გამგე ამხ. შავერდოვი). როდესაც გამგეობა შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას, დამთავრებულ იქნა მუშათა ცენტრალურ კლუბის წევრთა ხელახალი რეგისტრაცია, რის შემდეგ 10,500 სხვადასხვა დროს ჩაწერილ წევრთაგან დატოვებულ იქნა 1.516 წევრი. დღევანდლამდე გამოცვლილია 417 ძველი საწევრო ბილეთები და ხელახლა მიღებულია კლუბის წევრებად განსაკუთრებით ის პირნი, რომელნიც ეწევიან ფიზიკურ შრომას და 313 პარტიული ამხანაგი.

ამგვარად დღეს კლუბის წევრად ითვლება 730 კაცი. პირნი, რომელნიც ეწევიან ფიზიკურ შრომას 464 (63 პროც.),—გონებრივ შრომას—266 (37 პროც.) პარტიული 202 (28 პროც.), უპარტიო—528 (72 პრ.), მუშათა ცენტრალურ კლუბს უმრავლესი წევრები მისცა გემოკვების წარმოების კავშირმა (35 პროც.), შემდეგ მელითონეთა კავშირმა (19 პრ.), რკინის გზის პროფკავშირმა—(15 პრ.), საბჭოთა მოსამსახურეების კავშირმა (8 პროც.)—ყველა დანარჩენი კავშირებმა მისცეს ცოტა წევრები. კულტურულ-განმანათლებელი და სამეურნეო—ადმინისტრატიული მოღვაწეობა გამოიხატა შემდეგში:

სტუდიები. 10 იანვარს ხელახლა მოეწყო და 1 ივნისამდე მუშაობდა შემდეგი სტუდიები: სამეცნიერო-სალიტერატურო, სათეატრო, მუსიკალური და პოლიტიკურ განათლებისა, ესპერანტოს წრე და 2 საფეხურის შკოლა ქართულ და რუსულ ენებზე. მასწავლებელთა შემადგენლობაში შედიოდენ ისეთი პირნი, როგორც არის პროფ. სპასსკი, მარკარიანი, ნ. რუდაკოვი, და სხვები. სამეცნიერო სტუდიის ლექციები კლუბის ყველა წევრთათვის მისაწვდომი იყო და ლექციების შემდეგ იმართებოდა საუბარი წაკითხულ თემაზე.

სამეცნიერო სტუდიის საშუალოდ ესწრებოდა 150—200 კაცამდე, მუდმივ მსმენელებად, რომელნიც ჩაწერილი იყვენ სტუდიის განყოფილებაში—იყო 37 კაცი.

თეატრალური სტუდია.—მუშათა ცენტრ. კლუბისა, როგორც საქმის დაყენებით, ისე მასწავლებელთა შემადგენლობით, იყო ტფილისში ერთად ერთი სერიოზული სტუდია. სტუდიის ხელმძღვანელად მოწვეული იყო სპეციალისტი თეატრალი—ა. ს. პეტროკოვსკი, მასწავლებლებად რევოლიუციონურ სამხატვრო თეატრის მსახიობები—დავიდოვსკი, იმპროვიზაციისა, მარგარიტოვი და გრადეცკი, დექციის და დეკლამაციის პროფ. სპასერ—(თეატრის და დრამის ისტორია). მსახიობი ქალი ქეენტი. (რიტმიული გიმნასტიკის და პლასტიკის კლასი)

მატერიალურმა დაბრკოლებებმა, რომელსაც კლუბი მუდმივ განიცდის, წამოაყენა საკითხი ყველა ხარჯების შემცირების შესახებ და პროფკავშირთა საბჭოს კულტურულ განყოფილების წინადადებით ყველა სტუდიები დახურულ იქნა 1 ივნისიდან. ამის შემდეგ ყველა სტუდენტებმა შესწყვიტეს კლუბში სიარული და პროლეტარულ თეატრისა და წლის მუშაობის შესახებ ლაპარაკი სულ ზედმეტი გახდა.

ამ ჟამად შესაძლებელი გახდა ხარჯების ერთი ნაწილის პროფკავშირებზე გადარიცხვა და ამის გამო სტუდიები ხელახლა გაიხსნა, მეცადინეობა იწყება და უკვე შეუდგენ პროლეტარულ თეატრის ორგანიზაციას. ფასით იხსნება კარები ყველა მუშებისა-რითი და სტუდენტების მოუწოდებენ თვით მოქმედებისა და ინტენსიურ მუშაობისაკენ.

მოსწავლეთა შემადგენლობაში მიიღებოდნენ მხოლოდ კლუბის წევრები და წითელი არმიელები, სულ თეატრალურ სტუდიაში მეცადინეობდნენ 51 კაცი, რომელთა შორის ფიზიკურად მომუშავეები შეადგენდა 35 პროც., გონებრივი შრომით მომუშავეები 34 პროც., მოწაფეები (კლუბის წევრების შვილები)—25 პროც. და წითელ არმიელები 8 პროც., პარტიულები და ახალგაზრდა კომკავშირის წევრები—14 პროც., უპარტიოები—86 პროც., „ცენტრალური მუშათა კლუბის პროლეტარულ თეატრის“ მოწყობის განზრახვა ვერ განხორციელდა, ვინაიდან პროფკავშირთა საბჭოს კულტურულ განყოფილების დადგენილებით 14 მაისიდან სტუდიები დაიხურა და სტუდიელები დაითხოვეს.

ამ ჟამად სტუდია კვლავ მუშაობს და მასწავლებელთა შემადგენლობაში ზემოდ ჩამოთვლილ პირებს გარდა, მოწვეულია პროლეტარული თეატრის მოსაწყობად ამხ. იგნატოვი.

მუსიკალური სტუდია. შეიცავს „სოლოს“ სასიმღერო კლასებს, რომლის 2 კლასს დიდებისათვის 1—ბავშვებისათვის, ნოტების შესასწავლ კლასს და კარგს სოლფეჯიოს. სტუდიის ხელმძღვანელობენ: პროფესორი აისბერგი, კეპინოვა, მიულერი იპპოლიტოვი, ლიტვინოვა, კუზნარევი და რუდენკო. მუსიკალურ სტუდიაში სულ მეცადინეობდნენ 70 სტუდიელი რომელთაგან: ფიზიკურად მომუშავენი შეადგენდნენ 30 პრო., გონებრივი შრომით 33 პროც. მოწაფეები 31 პროც. წითელ არმიელები—6 პროც..

ძირითად კლასების გარდა მუსიკალურ სტუდიაში მოწყობილი იყო ვიოლინის დ აღმოსავლეთის ინსტრუმენტების კლასები—მაგრამ ამ კლასებში მეცადინეობის დაწყება არ მოესწრო, ვინაიდან მუსიკალური სტუდია დაიხურა 1 ივნისს.

საერთაშორისო ენის ესპერანტოს წრე მუშაობდა თბილისის ესპერანტისტების საზოგადოების თავმჯდომარის ამხ. ანდრეევის ხელმძღვანელობით და ირიცხებოდნენ 13 მოსწავლე. სამი კვირის განმავლობაში მიცემულ იქნა 53 გაკვეთილი და მოწაფეები უკვე გაეცნენ წერა-კითხვას, გაიარეს ტანთ-ვარჯიშობა და შეითვისეს უბრალო ფრაზების შედგენა.

მეორე საფეხურის სკოლები იყო 2 დღის და საღამოსი. ორთავე სკოლაში ირიცხებოდნენ 40 კაცი—მარტო და მხოლოდ მუშები.

სკოლებში გადიოდნენ: რუსულ ენას, რუსული ლიტერატურის ისტორიას, ქართულ ენას და კულტურის საერთო ისტორიას, ბუნების აღწერას, გეოგრაფიას და მათემატიკას.

პოლიტიკურ განათლების სტუდია მუშაობდა კომპარტიის მეორე რაიონის პასუხისმგებელი მდივანის ამხ. გევორკიანის ხელმძღვანელობით. ამ სტუდიის დასწრება სავალდებულო იყო ყველა სტუდიის სტუდიელთათვის.

ჩამოთვლილ სტუდიელების, წრეების და სკოლების გარდა, იყო მოწყობილი მარქსიზმის და ლიტერატურული წრეები.

მილიციაში

მეტი ყურადღება მილიციას.

არავის არ შეუძლია დღეს სთქვას, რომ მუშათა კლასი იმყოფება კარგ პირობებში. მთავრობა ყოველ გვარ გადამწყვეტ ზომებს ხმარობს მშრომელთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად და თითქმის უახლოვდება დანიშნულ მიზანს. მაგრამ სამწუხაროდ ყოველივე ამას მოწყვეტილი დარჩა, ჯერჯერობით მილიციის დარგი. არც ერთი მუშა მოსამსახურე არ განიცდის დღეს ისეთ გაჭირვებას, როგორადაც მილიცია.

ჯერ ერთი ცოტა ჯამაგირებია და ისეც თავის დროზედ ვერ რიგდება, რის გამო მრავალი თანამშრომლები იძულებულნი არიან სამსახური დასტოვონ ანდა ხელი მოჰკიდონ ისეთ საქმეებს, რომლებიც თავიანთ მატერიალურ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად დაუშვებელია მშრომელთა სახელმწიფოში. ამის შემდეგ სამართლიანობა მოითხოვს, რაც შეიძლება მეტი ყურადღება იქნეს მიქცეული ვისგანაც ჯერ არს, მილიციის ეკონომიური პირობების გასაუმჯობესებლად.

ვინაიდან მილიცია მეორე ბასრი მახვილია, წითელი ჯარის შემდეგ, მშრომელთა სამეფოს დაუძინებელ მტრების წინააღმდეგ, და ის ცუდ პირობებში არ უნდა დარჩეს.

ს. კიკაბიძე.

მუშათა ცხოვრება

ბინების შესახებ.

როგორც მკითხველებს მოეხსენება ბინების საკითხი ძალიან მწვავეთ სდგას დღეს მუშათა წრეებში. უბინაობით გაწამებულმა ზოგიერთ მუშებმა თავისუფალ ქირის მიხედვით დაიქირავეს ოთახები. ეს ქირა ერთობ დიდია და მის ბიუჯეტს მისი დაფარვა ძალიან გაუჭირდება. მუშებს მიცემული აქვთ სათახადო ხელწერილი სახლის მეპატრონეებთან. ბევრი ასეთი მუშა დღეს გაჭირვებულ მდგომარეობაშია და არ იცის რა ქნას. არც ფული აქვს, რომ დიდი ქირა იხადოს და ხელწერილისაც ეშინია. საჭიროა ქალაქის ალმასკომმა ამას ყურადღებაა მიაქციოს, მუშების მიერ დაკავებულ ბინების მუშების სახელზე რეკვიზიციას უხმდეს და ასეთ ხელწერილებს კი გაბათილებულათ გამოაცხადებდეს. ეს დროითაა საჭირო ვინაიდან ამ ნიადაგზე მრავალ გაუგებრობას აქვს ადგილი.

უბინაო.

კერძო სახელოსნოებში.

ზოგიერთ კერძო სახელოსნოებში არავითარი შრომის დაცვის კანონები არ არის შესრულებული. არის ისეთი სახელოსნოები, რომელიც რეგისტრაციაშიაც კი არ არის გატარებული. ერთ ასეთ სახელოსნოთ ჩაითვლება მოსესა სარქისოვის მექანიკური სახელოსნო. სახელოსნო მოთავსებულია სარდაფში, ვიწრო ბინაზე, სდგას 4 დაზგა, მუშაობს რამდენიმე მცირე წლოვანი. მათ მიმართ არავითარი შრომის კანონები არაა დაცული. არც შრომის ხელფასი ეძლევათ არსებულ ტარიფის თანახმად, არც სამუშაო დღეა დაცული და არც სხვა რამ. ვფიქრობთ შრომის დაცვის განყოფილების თანამშრომლებმა ასეთ სახელოსნოებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაპყრან და სასტიკათ მოსთხოვონ შრომის კანონების შესრულება.

ხელოსანი.

ენფიანჯიანცის ფაბრიკა.

ამ ფაბრიკაში მომუშავეებს მაისის, ივნისის და ივლისის კომუნალური ფული არ მიუღიათ. მუშებმა არ იციან ასეთს მიიღებენ თუ არა. ეუბნებიან არ მოგცემთო. ასეთი ფულის მიცემას მხოლოდ აგვისტოს თვიდან დავიწყებთო. მუშები ამ საკითხით ძალიან არიან დაინტერესებული და კარგი იქნება სათახადო ორგანო გაუგზავნიდეს თავის წარმომადგენელს ამ საქმის ადგილზე გამოსაკვლევათ და მუშებისათვის საჭირო განმარტების მისაცემათ.

იკაური.

სასტიკათ უნდა აიკრძალოს.

ამ უკანასკნელ ხანებში ერთობ გამრავლდა ქუჩებში აუდუღებელი წყლით მოვაჭრე ბავშვები. ასეთ წყალს უმთავრესად სვამენ ღარიბი და ხელმოკლე მშრომელები და ეს ხდება ეპიდემიის გაცხარებულ სეზონში. შეუძლებელია ამას ყურადღება არ მიექცეს. საჭიროა დროით იქნებოდეს ამის შესახებ ღონისძიებანი მიღებული. უეჭველად უნდა აიკრძალოს ასეთი წყლით ვაჭრობა. ეპიდემიის გავრცელებასთან ბრძოლა ჩვენის აზრით აქედან უნდა დაიწყოს. დროითაა საჭირო ამაზე ყურადღების მიქცევა, თორემ შემდეგ გვიან იქნება.

მუშა.

წერილი რედაქციის მიმართ.

მე მსურს მოკლეთ ავღნიშნო ის სიძნელე ბინის საკითხის გარშემო, რომელიც აღმოცენდა ალმასკომის დეკრეტის გამო. ზედმეტია მტკიცება იმისა, რომ დეკრეტი სამართლიანად გულისხმობს არსებულ მუშა-მოსამსახურეთა ცხოვრების ცუდ პირობებს, რომ შეუძლებელია მეტი ნორმის გატარება ამ პირობებში. ხოლო მამულის პატრონების გაღვიძებული მადა ვერ დაკმაყოფილდა დეკრეტით, ვინაიდან ვერ ითმენს ზოგიერთი მამულის პატრონები ხელისუფლებას და ისევ ებღაუჭებიან დაკარგულ ბედნიერებას. ასე რომ, ავიწროებენ მდგმურებს. სხვათა შორის, სახლის პატრონი მცხოვრები მალაკანის ქუჩაზე № 6. შვეციფისა ავიწროვებს და მემუქრება იქიდან გამოგყრით თუ კვადრატ არშინზე არ გადაიხდი 1500 მ. ამიტომ ვიქცევ მათ ყურადღებას ვისიც ჯერ არს, რომ მიიღონ ზომები და ალაგმონ მსგავსი სახლის პატრონები.

მთავარ სახელოსნოს მუშა
სანდრო ჩოდრიშვილი.

კოოპერაცია

საქონლის გაცვლა-გამოცვლა მოსკოვთან.

ცენტრო-კავშირის ამიერ-კავკასიის კანტორების გამგის ამხ. ლატკინის მოსკოვში ყოფნის დროს, საბოლოოდ გადაწყდა საკითხი მოსკოვსა და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლის შესახებ, რომელსაც ანხორციელებს ცენტროკავშირის აპარატი და ამიერ-კავკასიის კოოპერატიული ორგანიზაციები. ამ ოპერაციების საჭიროებისათვის ცენტრო-კავშირმა უკვე გამოუგზავნა ამიერ-კავკასიის კანტორებს სხვადასხვა საქონელი 300 ათასი მანეთისა ოქროთი. (საქონელია დატვირთული სამარშრუტო მატარებელი გზაშია და თბილისში იგი ჩამოვა ამ დღეებში).

საქონლის ეს პირველი პარტია—სადაც არის მანუფაქტურა, გალანტერეია, შუშები, ფაიფურისა და ემალის ჭურჭეულობა, პავლოვსკის საგნები (შინაწარმოების დანები, სამართებლები, ბოქლომები და სხვა წვრილმანი ნივთები) და სხვ. მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის წარმოების საგნებია.—და წარმოადგენს, ასე ვსთქვათ, ავანს ადგილობრივ დასამზადებელი პროდუქტებისათვის.

ცენტროკავშირის საქონლის გასაცვლელ დასამზადებელ რაიონში შედის არა მარტო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა რაიონი, არამედ სპარსეთის ბაზარიც. ამ უკანასკნელმა უნდა მოგვცეს ქიშმიში და გამხმარი ხილი. გახზრახულია აზერბეიჯანში დაამზადონ ღვინო და მატყლი; საქართველოში—ღვინო, თხილი, დაფნის ფოთოლი; აფხაზეთში—გამხმარი ხილი და სხვ. ყველა საწარმოო რაიონებში მოხდება აგრეთვე ბამბის შესყიდვა.

ყოველთვიურად გასაგზავნი იმ საქონლის ღირებულება, რომელიც ადგილობრივ ბაზარზე იქნება დამზადებული, უნდა უდრიდეს 800 ათას მანეთს ოქროთი. ამოდენივე ღირებულების საქონელს, დამზადებულს რუსეთში, გამოგზავნის ყოველთვიურად მოსკოვიდან, ამიერ-კავკასიის კანტორებისთვის ცენტრო-კავშირი.

თვით საქონლის გაცვლა გამოცვლა მოხდება ადგილობრივ კოოპერატიულ ორგანიზაციათა დახმარებით. ამიერ-კავკასიის კავშირის საშვალებით განაწილდება ყველა ცენტრებს შორის, როგორც მოსკოვიდან მოსული საქონელი, აგრეთვე შეკვეთაც ადგილობრივი პროდუქტების დამზადებისა.

დ. ზ.

პარტიული ცხოვრება

დეპეშა ბათუმიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

მხურვალე სალამი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს, საქართველოს განსაკუთრებულ დანიშნულების ნაწილების საბჭოს. აჭარის კომუნარები განსაკუთრების დანიშნულების ნაწილების დაარსების წლის თავზე, ვინტოვკით ხელში გამოვიდენ დღეს აღლუმზე, გაბედულად იწვევდენ საბრძოლველად თავის კლასიურ მტრებს. ქვეყანაზე არ არსებობს სხვა ძალა, რომელსაც შეეძლოს მუშათა კლასის ძალასთან შედარება, ის მტკიცდება და მედგრად მიდის ბრწყინვალე მომავლისაკენ და მოაქვს დაქანცულ ქვეყნისათვის დასვენება დ ბედნიერება. ჩვენ ბათუმის კომუნარები ფიცსა ვსდებთ დავიხოცოთ ნავთის წყაროს ბაქოს წინა კარებში მაგრამ არ დავანებოთ ბათუმი და აჭარა მსოფლიო მტაცებლებს. ჩვენ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავთ ჩვენ შავ ოქროს ნავთს. კაპიტალისტები ვერ ეღირსებიან ბაქოს ნავთის ხელში ჩაგდებას. გაუმარჯოს მსოფლიო საბჭოთა რესპუბლიკას.

მიტინგის თავმჯდომარე პევცოვი.

საქართველოს კომპარტიის ცეკას მუშაობის ანგარიში

(მაისში და ივნისში)

(გაგრძელება. იხ. „კომ.“ № 173, 174)

მუშაობა ქალთა შორის.

მაისში რესპუბლიკანურ მასშტაბში ჩატარებულ იქნა მოსამზადებელი მუშაობა ამიერ-კავკასიის მშრომელ ქალთა ყრილობის მოსაწვევად, რისთვისაც პროვინციებში იგზავნებოდა ცირკულიარები, ინსტრუქციები და თეზისები.

ხსენებულ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოცოცხლდა მუშაობა ქალთა შორის. განუწყვეტელი კავშირი არსებობს ყველა სახალხო კომისარიატებთან, დედობისა და ბავშვობის დაცვის კომიტეტთან, რომლის მუშაობაშიც ქალთა განყოფილება ძალიან აქტიურ მონაწილეობას იღებს.

ქალთა განყოფილებამ მჭიდრო კავშირი გააბა არტელების მომწყობ ბიუროსთან. ამ უკანასკნელთა წარმომადგენლებთან ერთად იმართება სეირნობანი უმუშევართა სასარგებლოდ და ამ მიზნისათვის შემოღებულია „სამდღეული“ მთელი საქართველოსათვის.

მჭიდრო კავშირი არსებობს აგრეთვე დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტთან და ბავშვთა მდგომარეობის გამაუმჯობესებელ კომისიასთან.

გამოდის ორკვირაში ერთხელ „ქალთა ფურცელი“ ქართულ ენაზე.

გარდა ამისა იბეჭდება რამოდენიმე ბროშიურა მუშა-ქალთა ცხოვრებიდან.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული პროლეტარ ქალთა შორის მუშაობას. ამ მიზნისთვის საქართველოს პროფ-კავშირთა საბჭომ გამოჰყო ერთი ინსტრუქტორი-ორგანიზატორი რომ არ ყოფილიყო განცალკევებული ქალთა განყოფილების მუშაობა პროფესიონალურ მუშაობიდან კავშირებში, ამისთვის ორივე ეს მუშაობა ჩამოყალიბებულია მთლიან ერთეულში. ამის გამო მიზან-შეწონილად იქნა ცნობილი იმ კავშირების მიერ ინსტრუქტორ-ორგანიზატორების გამოყოფა, სადაც მრავალია მუშა-ქალთა რიცხვი, რომელთაც თავისი პირდაპირი მოვალეობის გარდა მონაწილეობა უნდა მიიღონ საერთო-პროფესიონალურ მუშაობაშიდაც.

გარდა ამისა პროფ-კავშირთა საბჭომ მისცა დირექტივები სამაზრო პროფ ბიუროებს ქალთა შორის მუშაობის შესახებ.

პროფ-მოძრაობის „ორკვირეულში“ აქტიურ მონაწილეობას იღებდენ მუშა ქალები, რომელთათვისაც გაიმართა სპეციალური მოხსენება შემდეგ თემაზე: „პროფ-კავშირთა ახალი მიზნები ქალთა შორის მუშაობის სფეროში“. ქალთა განყოფილება შეუდგა წრეების მოწყობას, რომელთა მიზანიც არის პროფესიონალურ-მუშა ქალების მომზადება.

მაზრებში საერთოდ და მთლიანად მუშაობა სუსტად სწარმოებს. ამის მიზეზი გახლავსთ ძველ ჩვეულებათა და დახავსებულ შეხედულებათა გამო გლეხის ქალის დამონავებული მდგომარეობა, აგრეთვე მომზადებულ და ავტორიტეტულ მუშა ქალების უყოლობა, და ამასთან საჭირო თანხების უქონლობაც.

სამრეწველო ცენტრებში მუშაობა უფრო უკეთესად მიმდინარეობს. მაზრებში ჩვეულებრივ სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის გარდა სწარმოებს პრაქტიკული, საქმიანი ხასიათის მუშაობაც.

მოწყობილია სხვა და სხვა არტელები: სასოფლო-სამეურნეო, საკერავსართავი, საქსოვი, ჭრა-კერვის, და სხვ. მაგრამ მატერიალური სალარის უქონლობის გამო ეს დიდებული საქმე ძალიან ზანტად ტარდება ცხოვრებაში.

მოწყობილია შემდეგი არტელები: სართავი არტელი—ჭიათურაში; საკერავი—ზესტაფონში; საქსოვი—თელავში; საბოსტნე და სასოფლო-სამეურნეო—რაჭის მაზრაში; სამრეწველო—ფოთში; ჭრა-კერვის სკოლა—ხულოში (ბათომის ოლქი); სასოფლო-სამეურნეო—სიღნაღში.

უკვე შეუდგენ სოხუმში ტომრის საკერავი და საპენტი ფაბრიკის მოწყობას.

გარდა ამისა თბილისში და მაზრებში ეწყობა მთელი რიგი სხვა და სხვა არტელებისა.

ეროვნული

მუშაობა პროფ კავშირებში.

კავშირების დამოკიდებულება პარტკომებთან გამოიხატება შემდეგში: თანახმად საქართველოს კომპარტიის კონფერენციის დადგენილებისა, პროფკავშირთა საორგანიზაციო განყოფილებისა, და კულტურულ განყოფილების გამგენი შედიან პარტკომებთან არსებულ სათანადო კოლეგიებში.

გარდა ამისა პროფკავშირების ფრაქციის მდივანი შედის პარტკომში სათათბირო ხმით, ხოლო პარტკომის ერთ ერთი წევრი მიმაგრებულია კავშირზე ამ უკანასკნელის მუშაობის მუდმივ სახელმძღვანელოდ.

ორგანიზაციული მუშაობის ამ ახალ დაწყებულების ცხოვრებაში გატარების შემდეგ უფრო განმტკიცდება კავშირი პარტიასა და პროფკავშირებს შორის.

საქართველოს კომპარტიის ცეკას საინფორმაციო განყოფილება.

(დასასრული იქნება)

—

27 ივლის მოწვეულ იქნა ნაძალადევის თეატრში უპარტიო თანამგრძნობთა იაჩეიკის კრება, რიცხვით ოთხმოცი კაცი, კრებას დაესწრო ამხანაგი მჟავანაძე, რომელმაც გააკეთა მოხსენება პოლიტიკურ თემაზე. მოხსენების შემდეგ გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ მოხსენება ამხ. მჟავანაძის კომუნისტურ პარტიის სწორი და წმინდა მუშურ ნიადაგზე მოღვაწეობის შესახებ. ჩვენ ვგრძნობთ, რომ ჩვენი მთავარი ვალი არის მესამე ინტერნაციონალი კომპარტიის მეთაურობით, ამიტომ უცხადებთ მას სრულ ნდობას და სიტყვას ვდებთ, ვიბრძოლებთ მათთან ერთად უკანასკნელ შესაძლებლობამდე.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

მთავარი სახელოსნოს მუშა **ხარდ. ხერაგავა.**

—

ლიხეთში.

საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ ამ მაზრაში პარტიული ამხანაგები ძალიან ცოტანი არიან. მენშევიკების მეფობის დროს მთელ ლ. მ. გვყავდა მხოლოდ ერთი გამოჩენილი კომუნისტი ს. ხიცურიანი. შეიძლება სხვებიც ყვენ, მაგრამ ისე ცხადად ხალხის წინაშე მომქმედი კი არავინ. ხსენებულ ამხანაგს უძგერდა ნამდვილი პროლეტარული რევოლიუციონერის გული. ის აწყობდა მალულ კრებებს, და ზრდიდა მუშა კლასში უსხურვალის პატივისცემის გრძნობას და გაუსაზღვრელ სიყვარულს. ამისთვის მას მენშევიკური მთავრობა გაცოფებული დასდევდა სასიკვდილოდ, და მობილიზაციაში წინა ხაზზე დასადგომად ბოლშევიკების წინააღმდეგ, მაგრამ ის მათ, კლანჭებს არ ჩაუვარდა ხელში, დადგა დრო, აილო კომ. პ. გამარჯვების დროშა საქართველოში და მასაც საშუალება მიეცა თავისუფლად ამოესუნთქა, ის იქმნა დანიშნული ლ. მ. რ. თავმჯდ. იმ დღიდანვე მან უფრო აშკარად შეძლო მშრომლებში პროპაგანდის გაწევა იმის შესახებ თუ რას ეტრფის კ. პ. და როგორ ანთავისუფლებს ის მუშათა კლასს. ეს ყოველივე მალე შეითვისეს მისგან მომზადებულმა მუშებმა და დაიწყეს ორგანიზაციულად მუშაობა. ასე თან და თან შეიკრიბა კ. პ. ძალები და მოღონიერდა ლ. მ. რამოდენიმე თვის განმავლობაში მის ადგილზე დანიშნეს ს. ქაჯაია რომელმაც სასურველად გააგრძელა მისი მუშაობა და ასე კ. პ. მეტი ნაბიჯის გადადგმა შეძლო ლ. მ. დარჩენილ მენშევიკების ასალაგმავად.

ხსენებული ჩვენი ძველი კომუნისტი ისევ დაუღალავად იწევა მშრომელთა შორის იმ კომპარტიის მიზნების ახსნა განმარტებას. კ. იაჩეიკას კრებებზე მიცემული ინსტრუქციებით საკმარისად შუქდება საკითხები. მშრომელები ერთხელ და სამუდამოდ რწმუნდებიან რომ. კ. პ. ეს არის ნამდვილი მუშური პარტია, მას ვერ შეედრება თვალთმაქცი და მატყუარა მენშევიკები და სხვა მათი მეგობრული. პარტია. აქაური მუშები იწრაფიან დაკავშირდენ ერთმანეთს ორგანიზაციულად, და თუ მათი მუშურ გლეხური მთავრობის წინააღმდეგ ვინმე გაილაშქრებს, მზად არიან არ დაუთმონ მათ არც ერთი ფეხის ნაბიჯი, დარწმუნებული იმაში რომ თუ რაიმე მათ მთავრობას ექნება, ის მუშებისთვისაც იქნება. მიუხედავად ამისა ნაშთი მენშევიკების ამ მაზრაში იმედს მაინც არ კარგავს, კიდევ ელის თავის მოძმეებს. ჯერ კიდევ არ შეუგნიათ, რომ მათი მოძმეები, რომლებიც ნიღაბ ახდილად გამოვიდნენ 24—26 მაის ა. წ. მათმა უხეშმა საქციელმა სრულებით გაანადგურა. მაზრებში, რომ უფრო გაუმჯობესდეს მუშობა, საჭიროა მეტი მცოდნე ძალები ვინმე დღეს, არის.

ი. ყრუაშვილი.

საქართველოს პროფ-კავშირთა საბჭოს პლენუმი

ფაბრიკა ქარხნების და ადგილობრივი კომიტეტების და სრულიად საქართველოს მშენებელთა და მიწისა და ტყის კავშირის ყრილობის დელეგატების თანადასწრებით.

31 ივლისს მუშათა სასახლის დიდ დარბაზში გაიმართა პლენუმი საქართველოს პროფ-კავშირთა საბჭოსი, ფაბრიკა ქარხნებისა, ადგილობრივი კომიტეტებისა და სრულიად საქართველოს მშენებელთა და მიწისა და ტყის კავშირის ყრილობის დელეგატების თანადასწრებით. სხდომა მოწვეულ იქნა მხოლოდ სრულიად რუსეთის პროფ კავშირთა საბჭოს 5 წლის თავის აღსანიშნავად.

ამხ. ბახუტოვის მოხსენება.

თავის ვრცელ მოხსენებაში ამხ. ბახუტოვმა დაახასიათა ყველა ეტაპები სრულიად რუსეთის პროფ-კავშირთა საბჭოს 5 წლის არსებობისა, თუმცა ეს ვადა, ყოველი სახელმწიფოს პროფესიონალური მოძრაობისათვის ძალიან პატარა დროა, მაგრამ რუსეთის პროფ კავშირთა საბჭოს 5 წლის არსებობა და განვლილი გზა იყო მეტად მძიმე, ძნელი და მდიდარი თავისი არა ჩვეულებრივი შინაარსით.

რუსეთის პროფ კავშირთა საბჭოს ისტორია იწყება სრულიად რუსეთის მე-3 პროფესიონალური კონფერენციიდან, რომელიც მოხდა პეტროგრადში 1917 წელს, და რომელზედაც არჩეულ იქნა სრულიად რუსეთის პროფ კავშირთა დროებითი საბჭო, 35 კაცისაგან.

კონფერენციის გაუბედაობამ, მისმა მერყეობამ, იქონია გავლენა ამ შემადგენლობაზედაც და როგორც ხვდებოდა ცნობილი მოსკოვის თათბირი,—პროფ-კავშირთა დელეგაციასა და რუსეთის პროფ კავშირთა დროებითი საბჭოს შემადგენლობის შორის თავი იჩინა წინააღმდეგობამ და განხეთქილებამ.

მაგრამ რუსეთის პროფ კავშირთა დროებითმა საბჭომ მაინც ითამაშა თავისი როლი მით, რომ მოამზადა სრულიად რუსეთის პროფ-კავშირთა პირველი ყრილობა, რომელიც გაიმართა 1918 წ. პეტროგრადში. ამ ყრილობის მუშაობაში წითელი ზოლივით არის გატარებული სრული დახმარება და დაცვა საბჭოთა ხელისუფლებისა. ყრილობა ირჩევს სრულუფლებიან შემადგენლობას რუსეთის პროფკავშირთა საბჭოსას, მაგრამ არა 35 კაცისგან, არამედ 11 წევრისაგან შემდგარს, რომელიც წარმოადგენს პრეზიდიუმს საბჭოისას, ხოლო პლენუმი კი სდგება კავშირების ცენტრალური კომიტეტებიდან. მაგრამ ეს შემადგენლობაც სუსტი იყო თავისი წევრებისა და მუშაობის მხრივ, რის გამოც მოწვეულ იქნა მე-4 კონფერენცია, რომელმაც შეავსო ეს შემადგენლობა და შემდეგ ეს ორგანო ამხ. ტომსკის ხელმძღვანელობით თანდათან იზრდება და ძლიერდება. მე-18 წელიწადი, არის საორგანიზაციო მუშაობის და გაზრდის პერიოდი.

მეორე ყრილობამ თავის ძირითადი მიზნად დაისახა საორგანიზაციო საკითხები. მუშაობის შედეგათ მივიღეთ დამთავრებული სქემა კავშირების აღმშენებლობისა. კავშირების წარმოების მიხედვით მოწყობის პრინციპი, რომელმაც თავი იჩინა ჯერ კიდევ 1917 წელში, მე-2 ყრილობაზე საბოლოოდ იქნა დადასტურებული.

აუცილებლად აღსანიშნავია აგრეთვე სამხედრო სასურსათო ბიუროს დაარსება. სამოქალაქო ომის პერიოდში ცხადი შეიქნა, რომ სახალხო სასურსათო კომისარიატს არ შეუძლია განახორციელოს თავისი მიზნები მუშათა ორგანიზაციების დახმარების გარეშე. სწორედ მაშინ დაარსდა ბიურო, რომელმაც 18, 19 და 20 წლებში დარაზმა 100 ათას კაცზე მეტი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თუ არ ყოფილიყო ეს არმია სასურსათო საქმის მუშაკებისა, წითელი არმია ვერ მიიღებდა მისთვის საჭირო სურსათს.

დახარჯა რა 1918 წელში 90 პროც. თავისი ენერგიისა სასურსათო ფრონტზე, პროფ-კავშირთა საბჭოს არ შექმნია სათანადო და საკმარისი ყურადღება მიექცია პროფესიონალური ხელმძღვანელობისათვის და მხოლოდ 1919 წელში იწყება ნამდვილი აღმშენებლობა—არსდება სტარიფო და სხვა განყოფილებანი. იწყება შრომის გაწესრიგება და უკვე 1919 წლის დასასრულში სტარიფო პოლიტიკა იცნობს სრულიად რუსეთის ტარიფებს.

მე-3 ყრილობა, 1920 წელში, სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ აყენებს მშვიდობიანი აღმშენებლობის საკითხებს და უახლოვდება წარმოებათა ორგანიზაციას. მაგრამ პოლონეთის ომმა არა ნაკლები ძალა და ენერგია დაახარჯვია პროფ-კავშირებს მოხსნილი იყვნენ მრავალი მომუშავენი ცენტრალურ კომიტეტებიდანაც კი და გაიგზავნენ ამ ფრონტზე.

ომი დასრულდა—რუსეთის პროფ კავშირთა საბჭო აწყობს ეკონომიურ განყოფილებას, რათა ხელმძღვანელობა გაუწიოს სახელმწიფო ეკონომიურ ცხოვრებას. უკვე განმტკიცებულსა და გამაგრებულ პროფ ორგანიზაციებს აკისრებენ სახელმწიფო ფუნქციებს, შრომის განრიგებისა და მისი დაცვის საქმეში.

ამავე დროს გამოდის ბაზარზე გლეხი, რომელსაც სურს გაყიდოს თავისი პროდუქტების ნაწილი, ჩნდება კერძო კაპიტალი და პროფ კავშირთა წინაშეც იჭრებიან ახალი საკითხები.

ტარდება ნებაყოფლობითი წევრობის კამპანია, რის შედეგათაც აღმოჩნდა ის, რომ მუშები დარჩენ კავშირებში. თუ რიცხვობრივ წევრთა რაოდენობა შემცირდა, იმის გამო, რომ გამოძევებულ იქნენ ცალკე შინამრეწველები, სამაგიეროდ ეს შემადგენლობა თავისი თვისებით უკეთესი შეიქნა. სრულიად რუსეთის პროფ-კავშირთა საბჭოს ხელმძღვანელობის ქვეშ პროფ კავშირებიც კვლავ იდლიან იმ გზით, რომელიც მიმართულია კომუნისტური სახელმწიფოს საბოლოო მიზნებისაკენ, რომლისთვისაც იბრძოდა და იბრძოლებს მომავალშიც სრულიად რუსეთის პროფ კავშირთა საბჭო.

რეზოლიუცია დეპეშა.

პლენუმი რეზოლიუციის სახით ერთხმად იღებს შემდეგ დეპეშას სრულიად რუსეთის ცენტრალურ პროფ კავშირთა საბჭოს სახელზე, რომელიც წარადგინა ამხ. ოდილავაძემ.

„მოისმინა რა მოხსენება სრულიად რუსეთის ცენტრალურ პროფკავშირთა საბჭოს 5 წლის იუბილეის შესახებ, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პლენუმი, ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების, ადგილობრივ კომიტეტების და საქართველოს საადმშენებლო კავშირის და მიწატყის კავშირის წარმომადგენელთა მონაწილეობით, მიესალმება ყველა საბჭოთა რესპუბლიკის პროფესიონალურ მოძრაობის, უზენაეს ორგანოს სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს. საქართველოს პროფესიონალური მოძრაობა, რომელიც აღფრთოვანებულია თქვენი თავდადებული ბრძოლით აურაცხელ ფრონტებზე საერთაშორისო კაპიტალის წინააღმდეგ, და მუშაობს რა თქვენი ხელმძღვანელობით, მიმართავს თავის მუშაობას პროფორგანიზაციების განმტკიცებისაკენ და იღებს მონაწილეობას მუშათა და გლეხთა ხელისუფლების მუშაობაში, ხელმძღვანელობს რა თავის მოქმედებაში იმ დიდი გამოცდილებით, რომელიც აქვს რუსეთის მუშათა კლასს.

სალამი თქვენ სრულიად რუსეთის ცენტრალურ პროფკავშირთა საბჭოს, ყველა საბჭოთა რესპუბლიკების პროფესიონალურ მოძრაობის ხელმძღვანელს".

პროვინციაში

საგურამოს თემი.

საგურამოს თემი წელს ძალიან დამშეული იყო და როგორც ხალხი, ისევე საქონელი ძლივს გადარჩა საბედისწერო ზამთარს. შიმშილობამ დიდი ზარალი მიაყენა ნამეტნავათ საქონელს, რომელიც ზოგი დაიხოცა და ზოგი გაიყიდა საჭმელის გულისთვის. წელს დიდი ზარალი მიაყენა საქონელს აგრეთვე მგელმაც. ამ ნადირისაგან მიყენებული ზარალი აღემატება ყოველგვარ სხვა ზარალს. წელს შეჭმულია და გაფუჭებული მარტო ჩვენ რაიონში არა ნაკლებ 200 სული მსხვილი და წვრილი საქონელი. წინათ თუ მგელი საშიშარი იყო მარტო ზამთარში, ახლა ის საშიშარი გახდა ზაფხულშიც და გარეთ დარჩენილი საქონელი უკვე პატრონისა აღარ არის.

წელს მოსავალს ძალიან კარგი პირი უჩანდა, მაგრამ დაჟინებულმა წვიმებმა მაის-თიბათვეში, რომელიც გრძელდებოდა 6 კვირა, შესამჩნევლათ დააზიანა ყანები ზოგან მარცვალი სინესტის ზედგავლენით თავთავშივე გაღვივდა. მოსალოდნელია, რომ წლევანდელი პური თესლათ ბევრი აღარ გამოდგება. სამაგიეროთ, ასეთი მუდმივი წვიმები ძლიერ ხელსაყრელი გამოდგა სიმინდისა და ლობიოსათვის რომელსაც ძლიერ კარგი პირი უჩანს.

გადამეტებულმა წვიმებმა ძლიერ დააზიანა ვაზი, გაუჩინა ჭრაქი და ნაცარი. მოსპობილია 3|4 ნაწილი ფოთლისა და ყურძნისა; ბოსტნეულობას კარგი პირი უჩანს. ბაღებიც ბაღებში მეორეთ გასათიბი მოვიდა, ბაღებში გარდა ვაშლისა, ყველაფერს კარგათ ასხია.

საგურამოს რაიონი ცნობილია ყაჩაღებით, მაგრამ შედარებით წელს სიმშვიდეა, ყაჩაღები კი მაინც არ გვილევა და სხვანაირადაც გვესტუმრებიან ხოლმე. წინაზედ ყაჩაღებმა გაიტაცეს 4 ცხენი, გაძარცვეს მრავალი მეურმეები, რომლის დროსაც ერთი მძარცველი მოკლეს მილიციონერებმა. გავრცელებულია ბაღ-ვენახებში ქურდობა. წინაზედ ქურდებმა ორჯელ დასჭრეს ფეხებში ბაღის პატრონები.

წელს დიდი ზარალი მიადგა ტყეებს დამშეული საქონლისაგან, რომლის გულისათვისაც ხალხი სჩეხავდა სანივრეთ აუარებელ ხეებს, ტყის ადმინისტრაცია ადგილობრივ ვერ დგას თავის სიმაღლეზედ.

საგურამოს რაიონში წინად არსებობდა ორი სკოლა, შარშან გახსნილია კიდევ 3 ახალი სკოლა, სადაც სწავლობს 350 მოწაფე. საგურამოს რაიონში დაარსებულია ჯერ ისევ 40 წლის წინათ წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სასწავლებელი, რომლიდან გამოვიდა მრავალი გამოცდილი მეურნე. ამ სასწავლებელს ჯერ ისევ 40 წლის წინათ მისმა დამაარსებელმა გლეხთა მეგობარმა ილია წინამძღვარიშვილმა მისცა შინაარსი და განსახიერება ისეთი გაერთიანებული შრომის სკოლისა, რომლის ტიპსაც ახორციელებს ყველგან ახლანდელი მთავრობა.

სასწავლებლის ქონება, შენობებ-ბაღ ვენახი, ინვენტარი და სხვა დიდი ხნის ურემონტობის გამო იქცევა და ფუჭდება.

ეს სასწავლებელი ლამის არის დაცარიელდეს, რადგანაც ძლიერ ცოტანი არიან მსურველნი აქ სწავლისა. სასწავლებელს არა აქვს ხეირიანათ მოწყობილი ბინები მოსულ მოწაფეთათვის.

საჭიროა ამ სასწავლებელს სათანადო ყურადღება მიექცეს ვინაიდგანაც ჯერ არის.

საგურამოს თემის უმთავრესი ნაწილი, როგორც მაღლობი და ტყიანი, ძლიერ ჯანსაღია და იშვიათათ იხუდებს დიდი ხნით რომელიმე სენი. ხალხის ჯანმრთელობას ემსახურება ადგილობრივი ამბულატორია თავისი ფერშლით და ბებია ქალით. უნდა ითქვას, რომ ფერშალი სამკოვი და კაკაბაძისა საკვირველი ენერგიით და ერთგულად ასრულებენ თავის საქმეს, მიუხედავათ მრავალი დაბრკოლებისა და გაჭირვებისა,—რაზედაც ადგილობრივ საბჭოს ყრილობაზედ არა ერთხელ მიიღეს გლეხებისაგან დიდი მადლობა.

სახალხო მოსამართლეთა ინსტიტუტის შემოღება სოფლათ მარტო ქაღალდზედ დარჩა და ჯერ არავის განუხორციელებია.

ამ დღეებში მოხდა შეერთებული კრება საბჭოსი და ამორჩეულ კაცებისა, რომლებმაც გაანაწილეს მეურნეებზე მთავრობისგან შეწერილი სასურსათო გადასახადი. გადასახადი უკლებლივ იქნება აკრეფილი.

დ. გორი.

—

აგარაკი წაღვერი.

მშვენიერ სურათს წარმოადგენს დღეს აგარაკი წაღვერი, ყველა ბინები დაკავებულია და კიდევ აუარებელი ხალხი აწყდება, უმეტესობა არიან მუშა მოსამსახურენი. სურსათ სანოვაგე ბლომადაა და შედარებით ხელსაწვდენ ფასებში იყიდება. დავათვალიერეთ აქაური დაწესებულებები, როგორც პარტიული, ისე საბჭოთა. არსებობს ბავშვთა დასასვენებელი სახლი რკინის გზის კულტ. განმანათლებელ ორგანოსი. ბავშვები მოთავსებულია სუფთა ბინაზედ, აქვთ კარგი კვება და მოვლა, ჩაცმული არიან ერთფერ სუფთა ტანისამოსებში. აქ რკინის გზელთა კავშირის მიერ გამართულია მუშათა დასასვენებელი სახლი, სადაც მოთავსებულია 26 მუშა რკინის გზელი (4 ქალი). თვითეული მათგანი ისვენებს 15 დღე, შემდეგ მოდის მეორე ჯგუფი. თითო სუფთა და მოწყობილ ოთახში მოთავსებულია 4 კაცი: მათ ეძლევათ საუკეთესო ხარისხის საჭმელი საკმარისათ, მუშებში არიან 2 კომუნისტი დანარჩენი უპარტიონი. მათში გაღვიძებულია დიდი ინტერესი და სურვილი პოლიტიკურ შემეცნებისა. სჩივიან, რომ ვერ სარგებლობენ ამ თავისუფალ დროით პოლიტიკურ-კულტურულ-გათვითცნობიერებისათვის და გთხოვენ მივაწოდოთ გაზეთები, მასთან მოხსენებების გაკეთება სხვა და სხვა თემაზედ. მეორე დღეს ჩვენ მოვიწვიეთ კრება ამ მუშების და ვიქონიეთ სჯაბაასი. მუშები გვაძლევდენ შეკითხვებს, ჩვენ ვუპასუხებდით.

ამხ. კობიძე და სხვები აკეთებენ მოხსენებებს. კრების დასრულებისას გვთხოვეს გაუკეთოთ მათ მოხსენება, საერთაშორისო მდგომარეობაზე, გენუას და ჰააგის კონფერენციაზედ და 2 ნახ. ინტერნაციონალზედ, რასაც მათ დავაკმაყოფილებთ ამ დღეებში. წაღვერში გლეხების განწყობილება მთავრობისადმი კარგია. ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ ძლიერ ბევრი ბნელი ძალებია თავმოყრილი, რომლებიც,რა თქმა უნდა, პროვოკატორულ მუშაობას ეწევიან. საჭიროა მათ წინააღმდეგ ზომების მიღება.

გოგიტო ციმბირელი.

—

გორი.

30 ივლისს დიდი ბაზრობა იყო. ქვენახულმა დაიწყო ფართოთ შემოსვლა გორის ბაზარზედ.

ფასები დაბლა იწევენ:გამომცხვარი თონის პური—5,000 მ. გირვანქა, ქერისა—3.000 მ. ხორბალის პური სამნაირი ხარისხისა 100,000 მ, 120,000 მ. და 130,000 მან. ფუთი. ქერი—60,000—70,000 მ. ფუთი; ნიორი—230,000 მ. ფუთი, ხახვი—80,000 მ. ნაადრევი ვაშლი 100—120,000 მან. ფუთი შუათანა ხარისხისა. ყველმა დაიწყო ოსეთიდან შემოსვლა—400—500,000 მან. ფუთი. რძე და მაწონი ჩარექი 10,000 მ.

ვახო ბიბილაშვილი.

პროფესიონალური

ოთხშაბათს, 2 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე პროფკავშირთა საბჭოს პატარა დარბაზში შესდგება

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს ფრაქციის პლენუმის სხდომა

დღის წესრიგი:

1) კავშირების წესდების შესახებ,
2) შრომის სახალხო კომისარიატის შესახებ,
3) მუშათა სახლებზე.

ყველა ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს ფრაქციის ბიუროს მდივანი:

კ. ოდილავაძე.

სარედაქციო კოლეგია.

ამა 1922 წ. 30 ივლისს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ანტონ იოსების ძე მგელაძე

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებულის ცოლის დისწულები ილარიონ და ერმილე რუხიაშვილები, გრიშა და ამბერკი ურუშაძენი, კატო ბეჟიაშვილისა და სიძე გიორგი ბეჟიაშვილი. პანაშვიდები ყოველ დღე. მიცვალებულის აგსვენება მოხდება, ხუთშაბათს, 3 მარიამობისთვეს საკუთარი სახლიდან (თამარის ქ. № 11), დილის 10 საათზე, წმ. ნინოს ეკლესიაზე წირვა და პანაშვიდის გადახდის შემდეგ დაკრძალვა მოხდება იქვე სასაფლაოზე.

(1—1)

გულდათუთქული დედა ელისაბედ შვილებით: ნადია ნიჟარაძისა, ოლია ხეჩინოვისა, თამარი, გრიგოლი, ვლადიმერ, ალექსანდრე და შალიკო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ 29 ივლისს აბასთუმანში გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი

ელენე (ელიკო) ეგნატეს ასული ნარსია

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, გამოსვენება საფიჩხიის სასაფლაოზე აგვისტოს 6 საათზე საკუთარ სახლიდან მთის ქუჩის ქ.

(1—1)

ბინით სარგებლობის კანონი

გამოცემულია ცალკე ბროშურებათ და ამ დღეებში გაიყიდება ყველა უკანასკნელი, ამ ჟამად მომქმედი დეკრეტები და დადგენილებანი საბინაო საკითხის შესახებ, აგრეთვე დადგენილება

კომუნალურ სამსახურზე.

ქირის შემოღების შესახებ.

ბინით სარგებლობის კანონი გაიყიდება გაზეთის ტრესტის კანტორაში (რუსთაველის პრ. № 24). და ყველა გაზეთის გამყიდველებთან.

თითო ეგზემპლიარი ღირება 20 ათასი მანეთი.

(0—1)

განცხადება

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ამა 20 ივლისის თარიღით № 21 დადგენილია:

1) ყველა უპატრონო და ჩამორთმეული საქონელი, რომელიც იმყოფება სახალხო სამხეო კომისარიატების და სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა საწყობებში, მაგალითად: სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოში, სასურსათო კომისარიატში, მიწათ-მოქმედების კომისარიატში, ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში და სხვა, შეადგენენ სახელმწიფო ქონებას, და რეალიზაციისათვის უნდა გადაეცეს სახალხო ბანკის სავაჭრო განყოფილებას.

2) ყველა თანხები და სავალიუტო ფასეულებანი, მიღებულნი ზემოხსენებ საქონლის ფონდის რეალიზაციიდან შედიან სახელმწიფო ხაზინაში და ირიცხებიან საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიმდინარე ანგარიშზედ.

3) ფინანსთა სახალხო კომისარიატს წინადადება ეძლევა სასწრაფოთ გამოჰყოს სპეციალური კომისია იმ შემადგენლობით, რომელსაც ის სცნობს საჭიროდ, მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისიასთან ერთად, რომელიც უკვე მუშაობს ამ დარგში, რათა გამორკვეულ იქნას ღირებულება და რაოდენობა ყველა ამ უპატრონო და ჩამორთმეული საქონლების და მიღებულ იქნას ასეთი ყველა სახალხო კომისარიატების სამხეო საწყობებიდან და სხვა სახელმწიფო ორგანოებიდან.

4) ამ დადგენილების მიღების დღიდან, როგორც უპატრონო, ისე ჩამორთმეული ქონებანი და აგრეთვე შემოსავალი სავაჭრო ოპერაციებიდან შედის საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებულ ფონდში თანახმად მეორე მუხლისა ამავე დადგენილებისა.

ზემოაღნიშნულის გამო საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის სახალხო ბანკი ამით სთხოვს რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს, რათა დაუყონებლივ მოაწოდონ მას ცნობები, თუ რა და რამდენი აქვთ მათ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებაში აღნიშნული საქონელი და შემდეგში ბანკის გამგეობის უნებართვოდ არავითარი გაცემა არ აწარმოოს.

სახალხო ბანკის გამგეობა.

სახალხო სასურსათო კომისარიატი

ამით აცხადებს, რომ თანახმად დეკრეტისა № 8 მატყლის მონოპოლიის შესახებ ყველა დაწესებულება, საზოგადოება და კერძო პირი მოვალეა ერთის კვირის განმავლობაში დღიდან ამა განცხადების გამოქვეყნებისა ჩააბარონ მთელი ის მატყლი, რომელიც მათ ხელშია, მეცხვარეთა ამხანაგობა „მწყემსის" საწყობებში (ნიკოლოზის ქ., № 22), სადაც მოხდება ანგარიშის გასწორება სახალხო სასურსათო კომისარიატთან არსებულ საგანგებო კომისიის მიერ შემუშავებულ წესით და ფასებით.

ვინც აღნიშნულ ვადაზე მატყლს არ ჩააბარებს, სამართალში იქნება მიცემული, მატყლი კი ჩამოერთმევა კონფისკაციის წესით.

სახალხო სასურსათო კომისარიატი სთხოვს ხელისუფლების ორგანოებს, საბჭოთა დაწესებულებებს და კერძო პირთ, აგრეთვე საკოოპერაციო, მუშათა და სხვა ორგანიზაციებს ყოველ მხრივი და სასწრაფო დახმარება აღმოუჩინონ ამხანაგობა „მწყემს", რომელსაც სახალხო სასურსათო კომისარიატის მიერ დავალებული აქვს მატყლის მონოპოლიის განხორციელება რესპუბლიკანურ მაშტაბით.

(2—1) **სახალხო სასურსათო კომისარიატი.**

ტფილ. აღმასრულებელ კომიტეტის გადასახადების ბიურო

ამით აცხადებს, რომ პარასკევს, 4 აგვისტოს, დღის 12 საათზე, ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის შენობაში გაიმართება

საჯარო ვაჭრობა

შემდეგი აბანოების იჯარით გასაცემად:

1)	აბანო — — —	გოგილო—გოგირდის	კახეთის ქუჩა.
2)	„ — — —	ჩითახოვის —	„
3)	„ — — —	ედიგაროვის —	ვორონცოვის ქ.
4)	„ — — —	ფანტაზია —	„
5)	„ — — —	მურსაგულოვის	სარქისის ქუჩა.
6)	„ — — —	ანანოვის ორთქლის	ფეიერკის ქ. № 8.
7)	„ — — —	კარაჯევის —	„ № 21.
8)	„ — — —	ნარსია —	19 თებერვ. ქ.
9)	„ — — —	აბრამაშვილის —	ვერის დაღმართი.
10)	„ — — —	ცოვინოვის —	კაზნაჩეის ქუჩა.

კომისიის ნახვა შეიძლება ყოველდღე. 3—1

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორისაგან

რათა არ იქნეს შეწყვეტილი გაზეთების გზავნა, გაზეთის ტრესტის მთავარი კანტორა სთხოვს ხელის მომწერლებს თავის დროზე იზრუნონ ხელის მოწერის განახლებაზე.

ხელის მოწერა მიიღება თბილისის ყველა გაზეთებზე ხელის მოწერის ფასი ძველია. ხელის მოწერა მიიღება რამდენიმე თვისაც ამა წლის დასასრულამდე.

გაფრთხილება: ხელის მომწერლებს, რომლებიც არ შემოიტანენ მომავალ თვის პირველამდე აგვისტოს ხელის მოწერის ფასს, ან არ დაფარავენ თავიანთ ვალების ვალდებულებას, გაზეთები აღარ გაეგზავნება,

(0—10)

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ტფილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91.

(25—25)

ვინაიდან ამ უკანასკნელ დროს ქალაქში გაჩნდა ცოფიანი ძაღლები,

თბილისის ქალაქის აღმასკომი, უბედურ შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, რომელიც შესაძლებელია ცოფიან ძაღლებისაგან კბენის გამო, წინადადებას აძლევს ქ. თბილისის და მისი მიდამოების ყველა პატრონებს ძაღლებისას, ძაღლები დააბან და ქუჩებზე გამოუშვან მხოლოდ პირსაკრავით, უპირსაკრავო ძაღლებს დაიჭერენ ქუჩებზე, და მისი პატრონები პასუხისმგებელი იქნებიან ამ დადგენილების დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით.

(2—2) ქ. თბილისის აღმასკომის სამმართველო განყოფილება.

ტირაჟი 10,000.

რ. დ. ს. ყ.

საქართველოს უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.